

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



გიორგი ქაჩლიშვილი

მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზის აქტუალური  
საკითხები ღვინის კომპანიების მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და ანალიზი

ხელმძღვანელი - იზოლდა ჭილაძე  
თსუ, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

## ანოტაცია

**თემის აქტუალობა:** მოთხოვნებისა და ვალდებულებების დროული დაფარვის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე და საერთოდ, ფინანსურ სტაბილურობაზე. ამიტომ, მათი მაღალი ხარისხით მართვა, კონტროლი და ანალიზი მუდამ აქტუალურია.

**კვლევის საგანია** საანალიზო საწარმოების მიმდინარე აქტივები, მოთხოვნები, მიმდინარე ვალდებულებები, სავაჭრო მოთხოვნებისა და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობის მაჩვენებლები.

**კვლევის მიზანია** საანალიზო საწარმოების მოთხოვნების და ვალდებულებების შესწავლა, არსებული პრობლემების გამოვლენა და საჭირო წინადადებების შემუშავება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ და სს „სარაჯიშვილი“.

**შრომის დასკვნაში** გამოცემულია საანალიზო საწარმოების მოთხოვნებისა და ვალდებულებების მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზის შედეგები და შესაბამისად შემუშავებულია მათი დაფარვის შემდგომი გაუმჯობესების რეკომენდაციები.

## Anotation

### Current issues in analysis of the requirements and liabilities by example of wine production companies

Giorgi kachlishvili

Relevance of topic: Ensuring timely repayment of requirements and liabilities has a significant impact on the solvency of the enterprise and financial stability in general. Therefore, their high quality management, control assets, requirements, current liabilities, trade requirements and payables of analytical enterprises.

The subject of research is the current assets, requirements, current liabilities, trade requirements and payables of analytical enterprises.

The purpose of the study is to research the requirements and liabilities of the analytical enterprises, to identify the existing problems and develop the necessary proposals to further improve the quality of repayment of requirements and payables.

The object of research is „Kakhetian Traditional Winery” Ltd and „Sarajishvili” JSC.

The research conclusion gives analytical development requirements and liabilities which shows indicators of current status and results of analysis to produce the recommendations of improvements here above.

# შინაარსი

## შესავალი

თავი 1. სს სარაჯიშვილის და შპს კახური ტრადიციული მეღვინეობის მოთხოვნების ანალიზი.....	7
1.1. მოთხოვნების არსი, კლასიფიკაცია და ანალიზის საინფორმაციო წყარო .....	7
1.2 მოთხოვნების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი საანალიზო საწარმოების მაგალითზე.....	12
1.3 მოთხოვნების მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი.....	21
თავი 2. სს სარაჯიშვილის და შპს კახური ტრადიციული მეღვინეობის ვალდებულებების ანალიზი.....	33
2.1 ვალდებულებების კლასიფიკაცია და მისი სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი.....	33
2.2 ვალდებულებების მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი.....	38
2.3 კორელაცია მიმდინარე მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის საანალიზო საწარმოებში .....	48
<u>დასკვნა</u>	
გამოყენებული ლიტერატურა.....	55
დანართი .....	56

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** მოთხოვნებისა და ვალდებულებების დროული დაფარვის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე და საერთოდ, ფინანსურ სტაბილურობაზე. ამიტომ, მათი მაღალი ხარისხით მართვა, კონტროლი და ანალიზი მუდამ აქტუალურია.

იმისათვის, რომ ნებისმიერი კომპანიის მენეჯმენტმა და ხელმძღვანელობამ წარმატება მოუტანოს საწარმოს, აუცილებელია მოთხოვნების და ვალდებულებების საფუძვლიანი შესწავლა და მათი ანალიზის გზით, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების სტრუქტურის და დინამიკის გამოკვლევა შემდგომი სტაბილურობის და ფინანსური მდგრადობის მისაღწევად. ამასთან ერთად, აუცილებელია შესწავლილ იქნეს კავშირი კომპანიის მოთხოვნების და ლიკვიდურობა სხვადასხვა კოეფიციენტებს შორის, როგორცაა აბსოლუტური ლიკვიდურობის და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

**კვლევის საგანია** საანალიზო საწარმოების მიმდინარე აქტივები, მოთხოვნები, მიმდინარე ვალდებულებები, სავაჭრო მოთხოვნებისა და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობის მაჩვენებლები.

**კვლევის მიზანია** საანალიზო საწარმოების მოთხოვნების და ვალდებულებების შესწავლა, არსებული პრობლემების გამოვლენა და საჭირო წინადადებების შემუშავება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

**კვლევის ამოცანები:** კვლევის პროცესში დაისვა შემდეგი ამოცანები:

1. მოთხოვნების და ვალდებულებების კორელაციურ ანალიზთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება, სხვადასხვა ტიპის ლიტერატურისა და სტატიების გაცნობა;
2. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, დამუშავება და შედეგად, ნაშრომში სათანადო ინფორმაციის შეტანა;

3. საკვლევი ობიექტების ამორჩევა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზნით;
4. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანალიზისათვის შესაბამისი მეთოდებისა და ინდიკატორების შერჩევა და ანალიზი.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ და სს „სარაჯიშვილი“. მათი ძირითადი საქმიანობის სფერო დაკავშირებულია ღვინის წარმოებასთან და რეალიზაციასთან. შესაძლებელია ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება დასმული ამოცანების სრულად შესწავლისა და დასკვნების გაკეთებისათვის.

**კვლევის მეთოდები:** დასახული მიზნების გათვალისწინებით გამოყენებულია სათანადო კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ კვლევის ობიექტების მოთხოვნების და ვალდებულებების კორელაციური ანალიზისთვის გამოყენებულია საინტერესო ტიპის მაჩვენებლების ანალიზის ხერხები და გაანგარიშებები. ესენია: სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი და დაფარვის რიცხვი წელიწადში. კორელაციის კოეფიციენტები, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

#### **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები.**

აღნიშნული ნაშრომის შესრულებისათვის ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს ქართული ღვინის კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და საინფორმაციო წყაროებს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები, სტატიები და ინტერნეტ სივრცე.

# თავი 1. სს სარაჯიშვილის და შპს კახური ტრადიციული

## მელვინეობის მოთხოვნების ანალიზი

### 1.1. მოთხოვნების არსი, კლასიფიკაცია და ანალიზის საინფორმაციო

#### წყარო

მოთხოვნების დროული დაფარვის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე და საერთოდ, ფინანსურ სტაბილურობაზე. ამიტომ, საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მოთხოვნების მაღალი ხარისხით მართვა, კონტროლი და ანალიზი.

საწარმოო ციკლი წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომელიც იწყება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენით და მთავრდება მზა პროდუქციის რეალიზაციით ნაღდ ფულზე ან მის ექვივალენტებზე.

საწარმომ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდება შეიძლება განახორციელოს როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადახდის თარიღის გადავადებით (შემდგომი გადახდის პირობით), ანუ კრედიტით. გადახდის პირობებს არეგულირებს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) კრედიტით მიწოდების დროს კომპანიას წარმოექმნება მოთხოვნა მისაღებ თანხებზე, რომელსაც აგრეთვე დებიტორული დავალიანება ეწოდება. საწარმოს მოთხოვნები არის მისი უფლება, მოთხოვოს სხვა საწარმოს მისთვის კუთვნილი თანხა.

დებიტორული დავალიანება ისეთი მოთხოვნაა, რომელსაც კრედიტით მიწოდების შემთხვევაში პროცენტი არ ერიცხება გარდა სათამასუქო მოთხოვნებისა. დაფარვის ვადების გათვალისწინებით, მოთხოვნები იგივე დებიტორული დავალიანებები შეიძლება იყოს მიმდინარე, ანუ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხასიათის. ბასს-ის მიხედვით, მოთხოვნა როგორც აქტივი ითვლება მიმდინარე მოთხოვნად, თუ მოსალოდნელია მისი გადახდა ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, ყველა სხვა შემთხვევაში იგი გრძელვადიან მოთხოვნად ჩაითვლება.

მოთხოვნები საწარმოში შეიძლება წარმოიქმნას: საქონლის (პროდუქციის) კრედიტით ანუ შემდგომი განაღდებას პირობით გაყიდვების დროს; ავანსად გაცემული

თანხების დროს, რათა მომავალში მიღებული იქნეს რაიმე სახის მომსახურება; გაცემული სესხების დროს; აგრეთვე არსებობს მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ, პარტნიორების მიმართ, დამფუძნებლების მიმართ კაპიტალის შევსებაზე და ა.შ.

ბასს 1-ის მიხედვით, როდესაც საწარმო საქონლისა და მომსახურების მიწოდებას ახერხებს ზუსტად დადგენილ საწარმოო ციკლში, გრძელვადიანი და მიმდინარე მოთხოვნების ცალ-ცალკე კლასიფიცირება და ბალანსში ასახვა სასარგებლოა იმით, რომ ცალკე გამოყოს ნეტო აქტივები, რომლებიც მუდმივად იმყოფება მიმოქცევის პროცესში საბრუნავი კაპიტალის სახით, იმ ნეტო აქტივებისაგან, რომლებსაც იგი იყენებს გრძელვადიანი საქმიანობისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ის მიხედვით, საწარმომ მოთხოვნები, როგორც აქტივები, უნდა წარადგინოს ლიკვიდობის მიხედვით, თუკი ეს უკანასკნელი ისეთ ინფორმაციას აწვდის მის მომხმარებლებს, რომელიც საიმედოა და უფრო შესაბამისი, ვიდრე დაფარვის ვადების მიხედვით მათი კლასიფიცირება მიმდინარე და გრძელვადიან მოთხოვნებად.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისათვის მოთხოვნების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის გაზიარების მიზნით, შეიძლება მოთხოვნების დახარისხება კონკრეტული ვადების მიხედვითაც. დარიცხვის მეთოდისა და რეალიზაციის პრინციპის მიხედვით, თანხები, რომლებიც გადაუხდეელია მიწოდების მომენტისთვის უნდა აღიარდეს, როგორც მოთხოვნად ანუ დებიტორულ დავალიანებად, მეორე მხრივ, შემოსავლად. ხოლო წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე, მოთხოვნები ბალანსში აისახება მიწოდების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით, ანუ უიმედო ვალების, აგრეთვე, უკან დაბრუნებებისა და ფასდათმობების გამოკლებით. ზოგიერთი მოთხოვნა, მაგალითად წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება, გადახდილი ავანსები, ბალანსში აისახება თვითღირებულებით.

მიმდინარე (მოკლევადიანი) მოთხოვნები კლასიფიცირდება შემდეგნაირად: სავაჭრო მოთხოვნებად, დარიცხულ მოთხოვნებად და სხვა მოთხოვნებად.

**სავაჭრო მოთხოვნებს** (დებიტორულ დავალიანებებს) წარმოადგენს: მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით, მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები, მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები, წინასწარ გაწეული ხარჯები.



**დარიცხული მოთხოვნები:** მისაღები დივიდენდები, მისაღები პროცენტები და სხვა დარიცხული მოთხოვნები.

**სხვა მოთხოვნები მოიცავს:** მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ, მოთხოვნები საწარმოს ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ, მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხით და სხვა.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, შემოსავლები უნდა აღიარდეს საქონლის მიწოდებისთანავე, მიუხედავად იმისა კომპანია მიიღებს თუ არა თანხას. აქედან გამომდინარე, მიწოდებისას თანხის გადაუხდელობით წარმოიშობა კრედიტით გაყიდვა, რომელიც საფუძველია მოთხოვნის წარმოქმნის.

საქონლის კრედიტით მიწოდებას თან ახლავს შემდეგი პირობები: გაყიდვა ფასდათმობით ან თამასუქით. კომპანიის მენეჯმენტი დებიტორული დავალიანების დროულად დაფარვის სტიმულირების მიზნით სთავაზობთ მომხმარებელს ფასდათმობას, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ბასს-ის თანახმად ფასდათმობის ოპერაციები რომელიც მიწოდების შედეგად განხორციელდა ბუღალტრულ აღრიცხვაში ორი მეთოდით აისახება:

- მთლიანი თანხის აღრიცხვის მეთოდი;
- წმინდა თანხის აღრიცხვის მეთოდი;

საქონლის გაყიდვა შემდგომი გადახდის პირობით შეიძლება გაფორმდეს თამასუქით. თამასუქი არის ფასიანი ქაღალდი, რომლის გამოყენების დროსაც გადამხდელი კისრულობს წერილობით ვალდებულებას თანხის მოთხოვნისთანავე გადახდაზე ან მითითებული ვადის გათვალისწინებით. თამასუქი ორი სახისაა: ჩვეულებრივი და გადასაპირებელი თამასუქი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კრედიტით გაყიდვა ორმხრივ სარგებლიანი და ფართოდ გავრცელებულია. კრედიტით გაყიდვის დროს ყოველთვის ცდილობენ კომპანიები შეარჩიონ გადამხდელუნარიანი კლიენტები, რათა მომავალში დიდი რისკების წინაშე არ აღმოჩნდნენ. შესაძლებელია დროის გარკვეულ პერიოდში მომხმარებელს წარმოემზავს ფინანსური სიმწელებები და ვერ დაფაროს კრედიტი ან საერთოდ გაკოტრდეს. ასეთ შემთხვევაში კომპანიამ დებიტორული დავალიანება

უიმედო ვალად უნდა აღიაროს. უიმედო ვალები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჩამოიწერება და ხარჯად აღიარდება.

ანალიზის მეთოდი გულისხმობს დებიტორული დავალიანებების გაანალიზებას მათი გადახდის ვადების მიხედვით. რაც უფრო მეტია ვადაგადაცილებული დღეების საერთო რაოდენობა, მით ნაკლებია ალბათობა მისი დაფარვის.

ბასს-ის მიხედვით, მოთხოვნა ჩაითვლება გრძელვადიან მოთხოვნად, თუ მოსალოდნელია მისი დაფარვა ბალანსის შედგენის თარიღიდან თორმეტ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. გრძელვადიან მოთხოვნებს მიეკუთვნება:

- მიღებული გრძელვადიანი თამასუქები;
- ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები;
- მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე;
- გადავადებული საგადასახადო აქტივები და სხვა.

მოთხოვნები მიეკუთვნება არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს (ბასს 39, მუხლი 9), რომელიც კოტირებული არ არის აქტიურ ბაზარზე. იგი წარმოადგენს ფულად აქტივს. ფულადი აქტივი არის ფლობილი ფული და ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფულადი თანხის სახით მისაღები აქტივები. შესაბამისად, მოთხოვნაც განსაზღვრადი ფულადი თანხის სახით მისაღები აქტივია.

**აქტიური ბაზარი** არის ბაზარი, სადაც არსებობს ყველა შემდეგი პირობა: ბაზარზე არსებული საქონელი ერთგვაროვანია; როგორც წესი, ყოველთვის არსებობენ დაინტერესებული მყიდველები და გამყიდველები; ფასები ცნობილია საზოგადოებისათვის.

მოთხოვნების ანალიზის საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული ბალანსი. ბუღალტრული ბალანსი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტია, სადაც ფულადი თანხებით (ეროვნულ ვალუტაში) ასახულია საწარმოს აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი. თითოეული ჩამოთვლილთაგანი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს. ბალანსში აქტივები და მისი ფორმირების წყაროები ბუღალტრული აღრიცხვის ორმხრივობის პრინციპით აისახება.

ბასს-ის მიხედვით, თითოეული კომპანიის ვალდებულებაა ბალანსში ასახოს მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები, ასევე ვალდებულებები. გამონაკლისის დროს თუ წარდგენა ხდება ლიკვიდობის მიხედვით, ამ შემთხვევაში მოცემული ინფორმაცია უფრო საიმედო და შესაბამისია. თუ ასეთი გამონაკლისი გვხვდება, მაშინ აქტივების და ვალდებულებების წარდგენა ლიკვიდობის მიხედვით უნდა წარიმართოს.

ბასს-ის გათვალისწინებით, ბალანსში აისახება შემდეგი მუხლები ფულადი ფორმით: ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება, არამატერიალური და ფინანსური აქტივები, ბიოლოგიური აქტივი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, ფინანსური ვალდებულებები და სხვა.

კიდევ ერთი კომპონენტი ფინანსური ანგარიშგების არის ფულადი ნაკადების ანგარიშგება. მისი დახმარებით, მომხმარებლებს შეუძლიათ შეაფასონ კომპანიის აქტივებში მომხდარი ცვლილებები, ასევე მისი ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდურობა, რამდენად გადახდისუნარიანია და შეუძლია თუ არა საწარმოს დროულად მოქმედება ფულადი თანხების რაოდენობაზე, სხვადასხვა პირობებში. ფულადი ნაკადების ინფორმაცია აუცილებელია მომხმარებლისთვის, რომ შეაფასოს არა მარტო ფულადი თანხების გამომუშავება საწარმოში, არამედ გაანალიზოს და შეადაროს სხვადასხვა კომპანიების მომავალი პერიოდის ფულადი ნაკადების მოსალოდნელ ღირებულებას.

## 1.2 მოთხოვნების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი საანალიზო

### საწარმოების მაგალითზე

მოთხოვნების ანალიზის დროს აუცილებელია შემდეგი ეტაპების გავლა:

- პირველ რიგში აუცილებელია მომზადდეს და შეფასდეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნების სტრუქტურული მდგომარეობა;
- შემდეგ ეტაპზე ხდება მოთხოვნების დინამიკის გამოკვლევა;
- დინამიკის გამოკვლევის პროცესში ხდება მოკლევადიანი მოთხოვნის ზრდის ტემპების შედარება ფულადი თანხების გაყიდვების, მოკლევადიანი ვალდებულებების და სხვა საინტერესო მაჩვენებლების ცვლილებების ტემპებთან;
- ამ მონაცემების ანალიზის შემდგომ ეტაპზე ხდება სავაჭრო დებიტორული დავალიანებების დინამიკის ცხრილის მომზადება და შესწავლა;
- გამოვლინდება უიმედო დებიტორული დავალიანებები და ხდება მათი შესწავლა, ასევე ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების გამოკვლევა;
- ბოლო ეტაპზე აუცილებელია გამოტანილ იქნეს სათანადო დასკვნები და კომპანიის მენეჯმენტმა გასცეს საჭირო რეკომენდაციები.

როდესაც კომპანია მომხმარებელს პროდუქციას და მომსახურებას კრედიტით მიჰყიდის, ასეთ დროს წარმოიშობა სავაჭრო დებიტორული დავალიანებები. რეალურ პრაქტიკაში კომპანიის უმეტესობას თავიანთი საქონლისა და მომსახურების გაყიდვა უწევთ შემდგომი გადახდის პირობით, ამით მყიდველებს საშუალებას აძლევენ, რომ ფული გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაიხადონ. ყოველივე ეს კომპანიებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ მუდმივი მომხმარებლები და შეინარჩუნონ მიმოქცევის პროცესი. როგორც წესი, ასეთი ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში, ხელშეკრულებაში აუცილებლად არის მითითებული თანხის განაღდებას ვადები, ფასდაკლების შეთავაზებების პირობები და ის სანქციები, რომლებიც შეიძლება დაერიცხოს მყიდველს თანხის არ გადახდის შემთხვევაში.

საწარმოო პროცესში კომპანიებს გააჩნიათ სხვადასხვა ოდენობის დებიტორული დავალიანებები და უმაღლესი მენეჯმენტი მუდმივად ადევნებს თვალყურს მყიდველის

მხრიდან დროულად მოხდეს დავალიანების დაფარვა. რადგანაც დებიტორული დავალიანებების დაგვიანებები პირდაპირ ახდენს ზეგავლენას საწარმოს გადახდისუნარიანობაზე, აქედან გამომდინარე კომპანიები უდიდეს ყურადღებას უთმობენ სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მართვას.

დებიტორული დავალიანებების ანალიზის ამოცანებია:

- დროულად მოხდეს მყიდველების გადახდისუნარიანობის ანალიზი და მართებულად შერჩევა;
- დებიტორული დავალიანებების დაფარვის მდგომარეობის გამოკვლევა;
- შეფასდეს ის რისკები, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს საექვო და უიმედო დავალიანებებმა.

იმისთვის, რომ დებიტორული დავალიანებების ანალიზი სწორად წარიმართოს, აუცილებელია გარკვეული საფეხურების გავლა: პირველ რიგში მოვიძიოთ საჭირო ინფორმაცია, შემდგომ ეტაპზე ხდება დებიტორული დავალიანებების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და შესაძლო დასკვნების გაკეთება. ანალიზის ჩატარების შემდგომ განიხილება დებიტორული დავალიანებების ვადიანობა და უიმედო დავალიანებების არსებობის მიზეზთა გამოკვლევა. ბოლო ეტაპზე ხდება დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდულობის მაჩვენებლების ანალიზი.

წარმოდგენილ შრომაში ანალიზის ობიექტია შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ და სს „სარაჯიშვილი“. წარმოგიდგენთ თითოეული საწარმოს საქმიანობის მოკლე მიმოხილვას.

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2001 წლის 30 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ღვინის და სპირტიანი სასმელების წარმოება და წარმოებული პროდუქციის საცალო და საბითუმო ვაჭრობა. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ გახსნა ახალი სასტუმრო კახეთის რეგიონში დასახელებით „ახაშენის ღვინის კურორტი“. კომპანიის 100%-იან წილს ფლობს ზურაბ ჩხაიძე.

სს „სარაჯიშვილი“ დაფუძნდა როგორც სააქციო საზოგადოება 1994 წლის 15 ივლისს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების წარმოება და

გაყიდვა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. კომპანიას ჰყავს ორი შვილობილი - შპს „გეო ალკო“ და შპს „სარაჯიშვილი დისტილერი“, რომლებშიც ფლობს წილის 100%-ს.

შპს „გეო ალკო“ დაფუძნდა 2014 წლის 10 თებერვალს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა და წარმოებაა. შპს „სარაჯიშვილი დისტილერი“ დაფუძნდა 2014 წლის 27 თებერვალს. კომპანიის ძირითად საქმიანობას ალკოჰოლური სასმელების გადამუშავება და სხვა მომსახურების გაწევა წარმოადგენს.

კომპანიას მართავს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბიზნეს პოლიტიკას და ნიშნავს დირექტორატს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

განვიხილოთ სტრუქტურული და დინამიკური ცხრილები საანალიზო საწარმოების მაგალითზე. წარმოვადგენთ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ და შემდგომ სს„სარაჯიშვილის“ დებიტორული დავალიანებების სტრუქტურულ ანალიზს.

ცხრილში 1.2.1. ნაჩვენებია საწარმოს მოთხოვნები, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დავადგინეთ რამდენი წილი უკავია პროცენტულად თითოეულ მოთხოვნას მოცემულ მთლიან აქტივებში.

ჩატარებული ანალიზით ვასკვნით, რომ მიმდინარე აქტივების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 115,3%-ს მოთხოვნები მიწოდებიდან წარმოადგენს. შევნიშნავთ, რომ ხვედრითი წილის 100%-ზე მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ მოთხოვნებში წარმოდგენილია საექვო მოთხოვნების რეზერვი, რომელიც უარყოფითი რიცხვია და თითქმის ნარჩუნდება ეს ტენდენცია შემდეგ წლებშიც, რაც მნიშვნელოვანია კომპანიის მენეჯმენტისთვის, რამეთუ შეაფასოს საწარმოს ფუნქციონირება და აუცილებელია სტაბილურობისთვის გადადგას სწორი ნაბიჯები მოთხოვნების შემცირების მიმართულებით.

2016 წელთან შედარებით, მოთხოვნები მიწოდებიდან მცირდება 109%-მდე მომდევნო წელს და შემდეგ კიდევ იზრდება. ასეთი ცვლილებები შესაძლოა დადებითად მივიჩნიოთ, რადგან მოთხოვნის შემცირება ზრდის ფულად აქტივს და იზრდება შემოსავლები. როდესაც გაყიდვებიდან გაიზარდა შემოსავალი, მოთხოვნების

შემცირება დადებითად უნდა მივიჩნიოთ, სხვა შემთხვევაში ეს გამოწვეულია საქონლის მიწოდების შემცირებით ან დებიტორულ დავალიანებებში, კერძოდ გაცემული ავანსების წილი გაიზარდა წინა წელთან შედარებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოთხოვნების სტრუქტურის თითოეული მუხლის დახასიათება და შემდგომ დინამიკაში განხილვა.

**ცხრილი 1.2.1. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მოთხოვნების სტრუქტურა პროცენტულად**

მოთხოვნები	2016	2017	2018
<b>I. მოკლევადიანი მოთხოვნები</b>			
- მოთხოვნები მიწოდებიდან	115,3	109,5	113,5
- სხვა მოთხოვნები	-	1,4	-
- საექვო ვალების რეზერვი	(15,9)	(11,1)	(13,8)
- გაცემული ავანსები მომუშავე პერსონალზე	0,1	0,2	0,3
- წინასწარ გადახდილი გადასახადები	0,5	-	-
<hr/>			
ჯამი	100	100	100
<b>II. გრძელვადიანი მოთხოვნები</b>			
- ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	70	60	26
- ბიოლოგიურ აქტივებზე გადახდილი ავანსები	-	-	36
- სხვა გაცემული ავანსები	30	40	38
<hr/>			
ჯამი	100	100	100
<b>სულ მოთხოვნები</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>
მათ შორის:			
მიმდინარე მოთხოვნები	87	90	85
გრძელვადიანი მოთხოვნები	13	10	15

კომპანია შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ფინანსურმა მენეჯმენტმა დროულად უნდა გაანალიზოს მოცემული მოთხოვნების ვადიანობის საკითხი, რამდენად დროულად იფარება ჩამოთვლილი დებიტორული დავალიანებები, არის თუ

არა საექვო მოთხოვნების წილი გაზრდილი, არსებობს თუ არა რაიმე საფრთხე ვადების დარღვევასთან დაკავშირებით და სხვა მრავალი ფაქტორია დეტალურად გამოსაკვლევი. რაც სწრაფად შეამცირებს მოთხოვნების მოცულობას კომპანიის ხელმძღვანელობა, მით მაღალია ფირმის სტაბილურობისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობები.

უმჯობესია მოკლევადიან მოთხოვნებს მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდეს, გრძელვადიან მოთხოვნებთან შედარებით, რადგან მოკლევადიანი მოთხოვნა სწრაფად ბრუნვადია და ადვილად შესაძლებელია მისი ამოღება. ჩვენ შემთხვევაში მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების წილი საგრძნობლად ბევრია, რაც კომპანიის გადახდისუნარიანობაზე აისახება წარმატებით.

რაც შეეხება საექვო ვალების რეზერვის მაჩვენებლებს, აქაც ცვალებადია პროცენტული წილი ყოველი წლის მანძილზე, მაგრამ მცირედით, 10-16% - მდე მერყეობს. მიუხედავად მცირედი ცვლილებისა, საყურადღებოა არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით საექვო ვალების რეზერვის მატება ყოველ წელს, ხოლო მოკლევადიანი მოთხოვნების საერთო მაჩვენებელი მცირდება წლების მიხედვით. ეს ფაზაც საყურადღებოა მენეჯმენტისთვის და გამოსაკვლევია დებიტორების ფუნქციონირება, მათი კომპანიების გადახდისუნარიანობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

**ცხრილი 1.2.2. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“**

	31.12.2018	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურება 12.31.2018
მიმდინარე	15,318,051	1%	(153,181)
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	1,535,768	10%	(153,577)
31-90 დღის ვადაგადაცილება	487,982	20%	(97,596)
91-180 დღის ვადაგადაცილება	465,025	40%	(186,010)
181-365 დღის ვადაგადაცილება	146,093	70%	(102,265)
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	1,704,258	100%	(1,704,258)
<b>სულ</b>	<b>19,657,177</b>		<b>(2,396,887)</b>
გაუფასურების რეზერვი	(2,396,887)		
<b>წმინდა მოთხოვნები</b>	<b>17,260,290</b>		



კომპანიამ რომ განსაზღვროს მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, აჯგუფებს მსგავსი ხანდაზმულობის და საკრედიტო რისკის მიხედვით (იხ.ცხრილი 1.2.2.).

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი წარმოდგენილია კომპანიის ბოლო წლების საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებიდან. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია საქმიანობს.

**ცხრილი 1.2.3. სს „სარაჯიშვილი“-ს მოთხოვნების სტრუქტურა %-ად**

მოთხოვნები	2016	2017	2018
<b>I. მოკლევადიანი მოთხოვნები</b>			
- მოთხოვნები მიწოდებიდან	120	120	86,8
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(27)	(33)	(23,6)
- მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0,2	0,1	0,9
- გაცემული მოკლევადიანი სესხი	0,1	0,2	0,1
- გადახდილი ავანსები	11	16	41
- გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვი	(4,3)	(3,3)	(5,2)
<hr/>			
ჯამი	100	100	100
<b>II. გრძელვადიანი მოთხოვნები</b>			
- გაცემული გრძელვადიანი სესხი	100	100	100
<hr/>			
ჯამი	100	100	100
სულ მოთხოვნები	100	100	100
მათ შორის:			
მიმდინარე მოთხოვნები	99,2	99,3	99,5
გრძელვადიანი მოთხოვნები	0,8	0,7	0,5

ანალოგიურად ჩავატარეთ მეორე კომპანიის მოთხოვნების სტრუქტურული ანალიზი და გამოვიკვლიეთ საწარმოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები. განვსაზღვრეთ პროცენტული წილი თითოეული მაჩვენებლების მოცემული მთლიანი აქტივებიდან.

ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საწარმოს ბოლო სამი წლის მანძილზე შეუმცირდა სავაჭრო მოთხოვნების წილი, განსაკუთრებით ბოლო 2018 წელს, რაც არ არის კარგის მანიშნებელი მენეჯმენტისთვის და აუცილებელია შესაბამისი რეაგირება და გამოკვლევა დეტალურად, საწარმოს სტაბილურობის და გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად. სავაჭრო მოთხოვნების შემცირება შესაძლოა გამოიწვიოს გაყიდვების კლებამ და სხვა ფაქტორმა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში 2018 წელს როდესაც დაიკლო სავაჭრო მოთხოვნებმა, სავარაუდოდ მის ხარჯზე მოიმატა გადახდილმა ავანსებმა. სავარაუდოდ მენეჯმენტმა ფინანსური აქტივით ავანსები გაზარდა სავაჭრო მოთხოვნების ხარჯზე და ამას მეტყველებს გაცემული ავანსების პროცენტული წილი ბოლო ორი წლის შედარებით. 16%-დან 41 %-მდე გაიზარდა გაცემული ავანსები 2018 წელს გასულ პერიოდთან შედარებით. ამ შემთხვევაშიც მოკლევადიანი მოთხოვნების წილი ბევრად აღემატება გრძელვადიანს, რაც იმის მანიშნებელია, რომ კომპანია სტაბილურია და გადახდისუნარიანია.

ასევე კვლევის მიხედვით, საკმაოდ გაზრდილია გაუფასურების რეზერვები, როგორც მოთხოვნების, ისე გაცემული ავანსების. კომპანიის ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა შეაფასოს აღნიშნული ვითარება და გამოიკვლიოს დებიტორები.

სტრუქტურული ანალიზის შემდგომ განვიხილავთ მაჩვენებლების დინამიკას. დინამიკური ანალიზის დროს გარდა მოთხოვნების დინამიკისა, მიზანშეწონილია შევადაროთ მოთხოვნები სხვა რომელიმე დინამიკურ ტენდენციებს. მაგალითად, მიმდინარე მოთხოვნების დინამიკა შევადაროთ რეალიზაციიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, საკუთარი კაპიტალის, ვალდებულებებისა და სხვა მაჩვენებლების დინამიკას. ამ მონაცემებს გადმოვიტანთ მოგება-ზარალიდან და ბუღალტრული ბალანსიდან.

წარმოგიდგინოთ საანალიზო საწარმოს დინამიკური ტენდენციების შედარებას სხვა მნიშვნელოვან მაჩვენებელთან, მიმოვიხილავთ მათ ცვლილებებს და ერთმანეთთან დამოკიდებულებას.

**ცხრილი 1.2.4. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მიმდინარე მოთხოვნების დინამიკა 2014-2018 წლებში პროცენტულად 2014 წელთან შედარებით**

მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018
- მოკლევადიანი მოთხოვნები	100	108	123	194	175
- ფულადი თანხების ნაშთი	100	126	174	72	202
- შემოსავალი რეალ-დან	100	120	160	433	539
- მოგება რეალიზაციიდან	100	134	191	564	608
- მიმდინარე ვალდებულებები	100	130	196	517	382

მოცემული დინამიკური ცხრილი აჩვენებს მოკლევადიანი მოთხოვნების ტენდენციებს განვლილი ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც აღმავალია ყოველი მომდევნო წლის მაჩვენებელში. როგორც წესი, მოთხოვნების ზრდამ ფულადი თანხები უნდა შეამციროს და ეს ნათლად ჩანს 2017 და 2018 წლის მონაცემებში. მოთხოვნის მკვეთრმა მატებამ ფულადი ნაკადების შემცირება გამოიწვია, ხოლო შემდგომ საწინააღმდეგოდ შეიცვალა მონაცემები. ფულადი თანხების შემცირების ძირითადი მიზეზია საექვო მყიდველების ზრდა.

მიმდინარე მოთხოვნები თითქმის გაორმაგებულია შესადარის 2014 წელთან შედარებით. შემოსავლები რეალიზაციიდან და მოგების მონაცემებიც საკმაოდ სწრაფი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 5-6 ჯერ გაზრდილია ბოლო წლის მაჩვენებლები საწყის საანალიზო წელთან. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ ამ მონაცემებზე დაყრდნობით, რომ კომპანია მომგებიანია, მაგრამ მისი გადახდისუნარიანობა დაბალია. ეს გამოწვეულია ფულადი თანხების სიმწირით, რაც საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე საგრძნობლად მოქმედებს. მოცემული ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ მომგებიანობის მაჩვენებლის განსაზღვრით ვისაუბროთ წინსვლაზე, საწარმოს სტაბილურ ფუნქციონირებაზე, ეს მხოლოდ მოკლე პერსპექტივა იქნება. საწარმოს უნდა შეეძლოს ვალდებულებების

დროული დაფარვა, მოთხოვნების დროული შემცირება და შემოსავლების ზრდა, სხვა შემთხვევაში კომპანიის ფინანსური პოზიცია შორსმჭვრეტელოური ვერ იქნება. მენეჯმენტმა აუცილებლად უნდა გამოიკვლიოს სავაჭრო მოთხოვნების დავალიანების არსებობის, ცვლილების და მდგომარეობის ტენდენციები.

წარმოგიდგენთ მეორე საანალიზო საწარმოს დინამიკური ტენდენციების შედარებას სხვა მნიშვნელოვან მაჩვენებელთან, მიმოვიხილავთ მათ ცვლილებებს და ერთმანეთთან დამოკიდებულებას.

**ცხრილი 1.2.5. სს „სარაჯიშვილის“ მიმდინარე მოთხოვნების დინამიკა 2014-2018 წლებში პროცენტულად 2014 წელთან შედარებით**

მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018
- მოკლევადიანი მოთხოვნები	100	129	149	144	211
- ფულადი თანხების ნაშთი	100	74	64	340	820
- შემოსავალი რეალ-დან	100	103	92	109	136
- მოგება რეალიზაციიდან	100	103	92	109	132
- მიმდინარე ვალდებულებები	100	111	133	127	121

მოცემული კომპანიის მოკლევადიანი მოთხოვნების დინამიკა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ცხრილიდან ჩანს, რომ 2017 წლის მონაცემები მოთხოვნების ნაწილში ორჯერ გაზრდილია საწყის საანალიზო წელთან შედარებით. ძირითად შემთხვევებში, მოთხოვნების მატება იწვევს ფულადი აქტივის შემცირებას, რაც ნათლად ჩანს 2017 წლის მონაცემებში, მაგრამ საპირისპიროს მეტყველებს ბოლო წლის მაჩვენებლები. 2018 წელს საგრძნობლად მოიმატა მოკლევადიანმა დებიტორულმა დავალიანებებმა და ფულადი თანხებიც გაიზარდა 140 %-ით. ფულადი აქტივის ზრდა, მიუხედავად მოთხოვნების ასეთი ზრდის ფონზე, განაპირობა შემოსავლის მატებამ რეალიზაციიდან და მოგების მაჩვენებლის ცვლილებამ.

მოგების ზრდა ყველა კომპანიის მთავარი საფუძველია, მაგრამ მხოლოდ მოგების მაჩვენებელზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება კარგს ვერაფერს მოუტანს საწარმოს მენეჯმენტს. ამიტომ აუცილებელია ყველა მაჩვენებლების დეტალური შესწავლა და ანალიზი, რომ შემდგომში თავიდან ავიცილოთ კრიზისული სიტუაცია.

ჩვენ განვიხილეთ ორი ღვინის კომპანიის მაგალითზე და მათ მონაცემებზე დაყრდნობით, დინამიკური ტენდენციები მოთხოვნების ნაწილში და შევადარეთ ამავე კომპანიების სხვა მაჩვენებლებს. ორივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირია მოთხოვნების ზრდის ტენდენცია. უნდა გადაიხედოს მოთხოვნების დაფარვის ვადიანობის საკითხი, თუ რამდენად დროულად ხდება დებიტორული დავალიანებების დაფარვა და არის თუ არა ვადაგადაცილებული ან გადაუხდელი მოთხოვნები, რაც კომპანიის სტაბილურობაზე აისახება. აუცილებელია მენეჯმენტმა გამოიკვლიოს უიმედო და ვადაგადაცილებული მოთხოვნების მიზეზები და შეიმუშაოს რეკომენდაციები, დებიტორული დავალიანებების სწრაფად ამოღებისთვის.

### 1.3 მოთხოვნების მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი

საწარმოები იყენებენ დებიტორულ დავალიანებებს და მარაგებს, რომ უზრუნველყონ საქმიანობის შეუფერხებელი მიმდინარეობა. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გადაიქცევა დებიტორული დავალიანება და მარაგები ნაღდ ფულად.

რასაკვირველია, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია მათი საქმიანობის ანალიზის გარეშე, ამიტომ აუცილებელია ფინანსური მაჩვენებლების სრულად გაანგარიშება.

სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე პერიოდის განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნები შეიძლება სრულად არ დაიფაროს. ამიტომ ფინანსურ აღრიცხვაში მიღებულია ნაწილი მოთხოვნების, როგორც საექვო მოთხოვნებად აღიარება. აღნიშნული ნაწილი აიღება წინა პერიოდის გამოცდილებიდან. ბასს 18 „ამონაგები“-ის მიხედვით: „როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოღებული თანხა, ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების კორექტირება“.

არსებობს საექვო მოთხოვნების გამოთვლის ორი ხერხი:

- მოთხოვნის ნაშთის ხანგრძლივობის რანჟირების მეთოდი;
- პროცენტული გამოთვლის მეთოდი. (ნეტო რეალიზაციიდან, ნეტო კრედიტით რეალიზაციიდან ან წლის ბოლოს გაუნადგებელი მოთხოვნების ნაშთიდან).

დებიტორული დავალიანებების მდგომარეობის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

1. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა ჯერებში (ანუ დაფარვის რიცხვი წელიწადში);
2. დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი დღეებში;
3. დებიტორული დავალიანების წილი საბრუნავ აქტივებში;
4. საექვო დავალიანებების წილი.

დებიტორული დავალიანებების მოცულობაში, როდესაც იზრდება საექვო ვალების წილი, ეს გარკვეული რისკის მატარებელია.

დებიტორული დავალიანებების დაფარვის ხარისხის დახასიათებისთვის გამოიყენება მაჩვენებლები: დებიტორული დავალიანებების დაფარვის (ინკასაციის) პერიოდი და დაფარვის რიცხვი წელიწადში. ამ მაჩვენებლებს დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის მაჩვენებლებსაც უწოდებენ.

დებიტორული დავალიანებების დაფარვის (ინკასაციის) პერიოდი გამოიანგარიშება დღეებში და გამოითვლება ფორმულით:

$$\text{დებიტ. დაფ. საშ. წლ. ნაშთი} * 365 \\ \text{დებიტ. დაფ. ინკასაციის პერიოდი} = \frac{\text{კრედიტით გაყიდვები წელიწადში}}{\text{ინკასაციის პერიოდი}}$$

აღნიშნული ფორმულა აჩვენებს რამდენი დღე სჭირდება დებიტორებს დავალიანების სრულად დაფარვისთვის, მათი წარმოშობის დღიდან. მნიშვნელში მოცემულია დებიტორული დავალიანების საშუალო წლიური ნაშთი, რომელიც უდრის წლის დასაწყისისა და წლის ბოლოს არსებული ნაშთების ჯამის ნახევარს. ასევე გამოითვლება სხვა მეთოდით, დებიტორული დავალიანებების საშუალო ნაშთის შეფარდებით დღიურ გაყიდვებთან.

$$\frac{\text{დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი წელიწადში}}{\text{დებიტ. დაფ. საშ. ნაშთი}} = \frac{\text{წლიური კრედიტით გაყიდვები}}{\text{დებიტ. დაფ. საშ. ნაშთი}} ; \text{ ან,}$$

$$\text{დაფარვის რიცხვი წელიწადში} = \frac{365 \text{ დღე}}{\text{ინკასაციის პერიოდი დღე}}$$

მოგეხსენებათ, რომ დებიტორული დავალიანებების ინკასაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რაც დაბალი იქნება დაფარვის პერიოდი, მით უკეთესია საწარმოსთვის. დებიტორების დაფარვის პერიოდი ახასიათებს გაყიდვების კონტროლის ეფექტურობას.

დებიტორული დავალიანებების რისკის ხარისხის გაზომვისათვის ვხვდებით მრავალ კოეფიციენტს. ესენია: საექვო ვალების ფარდობა დებიტორების სიდიდესთან, დებიტორების ნაშთების ფარდობა ფულად თანხებთან; დებიტორების ნაშთების ფარდობა შემოსავლებთან (ანუ, დებიტორული დავალიანებების დაფარვის დაყოვნების კოეფიციენტი). ამ მაჩვენებლების ზრდა ნიშნავს ფულადი ნაკადების შემცირებას და

საწარმოს გადახდისუნარიანობის ვარდნას. ამიტომ, მათი დინამიკის და მიზეზების შესწავლა ამავედროულად აუცილებელია.

საექვო დავალიანების წილი ახასიათებს დებიტორული დავალიანების "ხარისხს". მისი ზრდის ტენდენცია ამტკიცებს ლიკვიდურობის შემცირებას. კომპანიის დებიტორული დავალიანების სიღრმისეული ანალიზისათვის აუცილებელია დამატებითი გაშიფვრა, სადაც მიენიშნება ცნობები ყოველი დებიტორის შესახებ, დებიტორული დავალიანების ნაშთი და მათი ინკასაციის ვადები. ამასთან, დებიტორული დავალიანების ანალიზის მთავარი ამოცანაა მისი ლიკვიდურობის შეფასება, ე.ი. საწარმოს ვალების ამოღების შეფასება. დებიტორული დავალიანების მდგომარეობის მართვის საკითხებში შეიძლება ვიხელმძღვანელოთ შემდეგი რეკომენდაციებით: დავალიანების ვადის გადაცილების პრევენციის მიზნით მყიდველებთან ანგარიშსწორების მდგომარეობაზე კონტროლის მოპოვება; ერთი ან რამოდენიმე მსხვილი მყიდველის გადაუხდელობით ზარალის შემცირების მიზნით მყიდველთა წრის გაფართოება; დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებაზე კონტროლი (დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ზრდის დროს წარმოიქმნება კომპანიის ფინანსური მდგრადობის რისკი).

ჩატარებულ იქნა მოთხოვნების ბრუნვადობის ანალიზი. გამოთვლილ იქნა დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი და დაფარვის რიცხვი წელიწადში საანალიზო საწარმოებზე. აღნიშნული ფორმულის გამოსათვლელად საჭიროა შემდეგი მონაცემები შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ფინანსური ანგარიშგებიდან: დებიტორული დავალიანების საშუალო წლიური ნაშთი და კრედიტით გაყიდვები წელიწადში.

$$\text{შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დებ. დავ. დაფარვის პერიოდი} = (17384 * 365) / 83\ 052 = 76 \text{ დღე}$$

$$\text{დებ. დავ. დაფარვის რიცხვი წელიწადში} = 83\ 052 / 13\ 855 = 4,7\text{-ჯერ}$$

მაშასადამე, ჩატარებული გამოთვლები გვიჩვენებს, რომ დებიტორული დავალიანებების წარმოშობიდან მის დაფარვამდე მყიდველს სჭირდება საშუალოდ 76 დღე, ხოლო წელიწადში ფარავს 4,7-ჯერ.



შემდეგ ეტაპზე ვატარებთ დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდის მაჩვენებლების დინამიკურ ანალიზს, რათა დავადგინოთ როგორი ტენდენციით ხასიათდება განვლილი წლების პერიოდში. მათი მერყეობის ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ვარიაციის კოეფიციენტი. დინამიკური ანალიზი გვამძღვეს საფუძველს გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

**ცხრილი 1.3.1. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტები**

	მაჩვენებლები	2016	2017	2018
1	დებ. დავალიან. საშ. წლიური ნაშთი	12215	19 148	17 384
2	წლიური კრედიტით გაყიდვები	24725	66 812	83052
3	დაფარვის პერიოდი დღ (1*365/2)	180	104	76
4	დებ. დავალიანებების დაფარვის რიცხვი ჯერებში (365დღე:3)	2,02	3,48	4,77

1.3.1 ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარე, დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდი მცირდება ყოველ მომდევნო წელს. როგორც ჩანს, 2017 წელს საგრძნობლად შემცირდა 104 დღემდე წინა წელთან შედარებით. შესაბამისად გაიზარდა დაფარვის რიცხვი დღეებში 3,5-მდე. ამ ორ მონაცემზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველ მომდევნო წელს უმჯობესდებოდა დებიტორული დავალიანებების დაფარვის ტენდენცია.

ანალოგიურად ჩავატარებთ დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის ანალიზი, გამოვიანგარიშეთ მოთხოვნების დაფარვის პერიოდი და დაფარვის რიცხვი წელიწადში სს „სარაჯიშვილის“ მაგალითზე. აღნიშნული დაგვეხმარება გავარკვიოთ რამდენი დღე სჭირდებათ დებიტორებს დავალიანების სრულად დაფარვისთვის, წარმოშობის დღიდან.

სს „სარაჯიშვილის“ დებ. დავ. დაფარვის პერიოდი =  $(17\ 384 * 365) / 29\ 638 = 214$  დღე.

დებ. დავ. დაფარვის რიცხვი წელიწადში =  $29\ 638 / 17\ 384 = 1,7$ -ჯერ.

ჩატარებული გამოთვლები აჩვენებს, რომ დებიტორული დავალიანებების წარმოშობიდან მის დაფარვამდე, მყიდველს სჭირდება საშუალოდ 214 დღე, ხოლო წელიწადში ფარავს 1,7-ჯერ.


უკეთ გასაცნობად ვატარებთ დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდის მაჩვენებლების დინამიკურ ანალიზს, რათა დავადგინოთ როგორი ტენდენციით ხასიათდება ყოველი მომდევნო წელი წინასთან მიმართებით. დინამიკური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების გათვალისწინება.

**ცხრილი 1.3.2. სს „სარაჯიშვილის“ დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტები**

	მაჩვენებლები	2016	2017	2018
1	დებ. დაბ. საშ. წლიური ნაშთი	11 437	11 867	17 384
2	წლიური კრედიტით გაყიდვები	20 147	23 773	29 638
3	ინკასაციის პერიოდი (1*365)/2	207	182	214
4	დებ. დავ. დაფარვის რიცხვი დღეებში (365 დღე / 3)	1,76	2	1,7

ჩატარებული ანალიზი გვამღევეს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდის დინამიკა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება ყოველ მომდევნო წელს. როგორც ჩანს, 2018 წელს საგრძნობლად გაიზარდა ინკასაციის პერიოდი, საბაზისო წელთან მიმართებით საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. ცხრილიდან ჩანს, რომ მცირდება დებიტორული დავალიანების დაფარვის დღეების რიცხვი, რაც კომპანიის გადახდისუნარიანობას უწყობს ხელს, რადგან მოთხოვნების დროული დაფარვა ხდება. ამ ორ მონაცემზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველ მომდევნო წელს უმჯობესდებოდა დებიტორული დავალიანებების ბრუნვის მაჩვენებელი.

### გრაფიკი 1.3.3. კომპანიების დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის დინამიკა



ამრიგად, ჩავატარეთ ანალიზი ორი კომპანიის მაგალითზე და განვიხილეთ ორივე საწარმოს დებიტორული დავალიანებების მაჩვენებლები, მათი ბრუნვაობა, ინკასაციის პერიოდი და დაფარვის რიცხვი წელიწადში. ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით მივიღეთ მოთხოვნების დაფარვის ორი განსხვავებული სურათი რომელიც ნაჩვენებია გრაფიკზე 1.3.3. ორივე ღვინის და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიაა, შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობაში“ დინამიკურმა ცხრილებმა და გამოთვლებმა გვიჩვენა დებიტორული დავალიანებების ამოღების ტენდენციის პროგრესი, ყოველ წელს უმჯობესდება მოთხოვნების დაფარვის რიცხვი. ხოლო სს „სარაჯიშვილში“ საპირისპირო მაჩვენებლები გვხვდება. ამ შემთხვევაში კლებასთან გვაქვს საქმე, ანუ ინკასაციის პერიოდი მატულობს და დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი მცირდება, რაც გამოიწვევს დებიტორული დავალიანებების გაზრდას და საწარმოს გადახდისუნარიანობის დაქვეითებას.

ვადაგადაცილებული დავალიანებები აუარესებს საწარმოს გადახდისუნარიანობას და აისახება უარყოფითად ინკასაციის მაჩვენებელზე. ამიტომ ხელმძღვანელობამ დებიტორული დავალიანებების შემცირების მიზნით, უნდა გაატაროს შესაბამისი პროცედურები ვალების კონტროლისთვის. ეს შეიძლება იყოს წერილობითი ფორმით შეხსენება ან ტელეფონის საშუალებით, უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს.

მიმწოდებელი საწარმოები ხშირად უხანგრძლივებენ დებიტორებს დავალიანების დაფარვის ვადებს, რადგან არ დაკარგონ ისინი. წარმოების უწყვეტი რეჟიმიდან

გამომდინარე, ხელმძღვანელობას შეუძლია გამოიყენოს დებიტორული დავალიანებების დაფინანსების ღონისძიებები, ფაქტორინგი და ანგარიშ-ფაქტურით აღრიცხვა.

ფაქტორინგი არის პასუხისმგებლობის გადაცემა სხვა მხრისთვის, რომელიც იზრუნებს კომპანიის დებიტორული დავალიანების ამოღებას. ფაქტორული კომპანიები არიან შუამავლები, რომლებიც აწარმოებენ კლიენტების გაყიდვების რეესტრს, უიმედო ვალებისგან სრული დაცვის უზრუნველყოფით. მოცემული საწარმო წინასწარ გასცემს ავანსად დებიტორული დავალიანების 80-90%-ს, ვალის ამოღების შემდეგ დარჩენილ ნაწილს აბრუნებს.

ანგარიშ-ფაქტურის აღრიცხვა (დისკონტირება) არის მისაღები ვალის მესამე პირზე მიყიდვა დისკონტით, ნაღდი ფულის ჩანაცვლების მიმართულებით. კომპანიისთვის ეს ნიშნავს დებიტორული დავალიანებების გარანტიის ქვეშ სახსრების შექმნის სისტემას. ისინი მხოლოდ სახსრების მიწოდებით არიან დაინტერესებული და არ სთავაზობენ გაყიდვების რეგისტრის წარმოებას და არც უიმედო ვალებისგან დაცვას. კომპანია იხდის ავანსად შექმნილი ანგარიშ-ფაქტურის 75%-ს, ამავდროულად აკონტროლებს ანგარიშ-ფაქტურების ინკასაციებს და საბოლოოდ ნარჩენ თანხას. ამ პროცედურებისთვის წინასწარ შეთანხმებულ 1-2%- იხდის კომპანია.

დებიტორული დავალიანებების ფაქტორული ანალიზისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ჯაჭვური ჩასმის ხერხი და კორელაციური ანალიზი. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მაგალითზე გავზომოთ დებიტორული დავალიანების ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები შემდეგი მოდელების გამოყენებით:

$$\text{დებიტ. დავ. ნაშთი} = \text{კრედიტით გაყიდვები} : \frac{\text{კრედიტით გაყიდვები}}{\text{დებიტ. დავ. საშ. ნაშთი}}$$

როდესაც კრედიტით გაყიდვები იზრდება, მეტი შანსია დებიტორული ვალდებულებების ნაშთების გაზრდის, ხოლო ინკასაციის რიცხვის ზრდა, დებიტორულ ნაშთებს ამცირებს.

**ცხრილი 1.3.3. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ დებიტორული დავალიანების  
ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები**

	2017	2018	გადახრა
დებ. დავალიანების ნაშთი (ათ. ლ)	19148	17384	-1764
კრედიტით გაყიდვები (ათ. ლ.)	66 812	83 052	+16 240
დებ. დავ. დაფარვი რიცხვი	3,48	4,77	+1,29

**ჯაჭვური ჩასმის ხერხით ფაქტორთა გავლენის გაზომვა:**

1. პირველად ვიღებთ ყველა საბაზისო მაჩვენებელს:

$$66\ 812 : 3,48 = 19\ 148 \text{ ათ. ლ}$$

2. მეორე მწკრივში ავიღოთ მიმდინარე წლის მაჩვენებელი კრედიტით გაყიდვების:

$$83\ 052 : 3,48 = 23\ 865 \text{ ათ. ლ}$$

კრედიტით გაყიდვების ცვლილების გავლენა გაიანგარიშება:

$$23\ 865 - 19\ 148 = + 4\ 717 \text{ ათ.ლ}$$

3. ბოლოს შეიცვლება და ყველა მაჩვენებელი მიმდინარე წლის იქნება:

$$83\ 052 : 4,77 = 17\ 384 \text{ ათ.ლ}$$

დებიტორული დავალიანების ინკასაციის რიცხვის ცვლილების გავლენა იქნება:

$$17\ 384 - 23\ 865 = - 6\ 481 \text{ ათ.ლ}$$

ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კრედიტით გაყიდვებმა 2018 წელს მოიმატა 16 240 ათ. ლარით, დებიტორული დავალიანების ნაშთი გაიზარდა 4717 ათასი ლარით, ხოლო დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის ზრდამ 1,29 ერთეულით დებიტორული დავალიანების ნაშთი შეამცირა - 6 481 ათასი ლარით, რაც დადებითი მოვლენაა.

როდესაც მცირდება დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდი, ეს იწვევს დებიტორული დავალიანებების ნაშთების შემცირებას. მაშასადამე, კავშირი პირდაპირპროპორციულია, მეორე შემთხვევაში ინკასაციის რიცხვის ზრდა ამცირებს მათ ნაშთებს, ესე იგი კავშირი უკუპროპორციულია.

შემდეგ ჩავატარეთ კვლევა მეორე საწარმოს სს „სარაჯიშვილის“ მაგალითზე 2017-2018წ. და შემდგომ შევადაროთ ერთმანეთს მიღებული შედეგები, გავაკეთოთ დასკვნები.

**ცხრილი 1.3.4. სს „სარაჯიშვილის“ დებიტორული დავალიანების ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები**

	2017	2018	გადახრა
დებ. დავალიანების ნაშთი	11 867	17 384	+ 5 517
კრედიტით გაყიდვები	23 773	29 638	+ 5 865
ინკასაციის რიცხვი	2	1,7	-0,3

**ფაქტორთა გავლენის გაზომვა ჯაჭვური ჩასმის ხერხით:**

პირველად ვიღებთ ყველა საბაზისო მაჩვენებელს:

$$23\ 773 : 2 = 11\ 867 \text{ ლარი}$$

მეორე მწკრივში ავიღოთ მიმდინარე წლის მაჩვენებელი კრედიტით გაყიდვების:

$$29\ 638 : 2 = 14\ 819 \text{ ლარი}$$

კრედიტით გაყიდვების ცვლილების გავლენა გაიანგარიშება:

$$14\ 819 - 11\ 867 = + 2\ 952 \text{ ლარი}$$

ბოლოს შეიცვლება და ყველა მაჩვენებელი მიმდინარე წლის იქნება:

$$29\ 638 : 1,7 = 17\ 384 \text{ ლარი}$$

დებიტორული დავალიანების ინკასაციის რიცხვის ცვლილების გავლენა იქნება:

$$17\ 384 - 14\ 819 = + 2\ 565 \text{ ლარი}$$

ჩატარებული ანალიზის შედეგები ასეთია: კრედიტით გაყიდვებმა 2018 წელს მოიმატა +5 865 ათ. ლარით, დებიტორული დავალიანების ნაშთი გაიზარდა + 5 517 ათასი ლარით, ხოლო დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის კლებამ - 0,3-ჯერ დებიტორული დავალიანების ნაშთი გაზარდა +2 565 ათასი ლარით, რაც უარყოფითი მოვლენაა.

დასკვნა: ჩატარებული კვლევის საფუძველზე დებიტორული დავალიანებების ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრისას გამოვლინდა ორივე

კომპანიის ერთმანეთისგან განსხვავებული შედეგები. პირველად განხილული კომპანიის კვლევამ გვიჩვენა დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის ზრდა 1,29 ერთეულით, დებიტორული დავალიანების ნაშთი შემცირდა 6 481 ათასი ლარით, რაც დადებითი მოვლენაა. მეორე კომპანიის დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის კლებამ - 0,3 ერთეულით დებიტორული დავალიანების ნაშთი გაზარდა 2 615 ათასი ლარით, რაც უარყოფითად ფასდება. ფაქტორული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ შედეგები უფრო უკეთესია ვიდრე სს „სარაჯიშვილის“.

დაფარვის რიცხვსა და დებიტორულ დავალიანებას შორის კავშირის დასადგენად გამოვიყენოთ კორელაციის კოეფიციენტი სს „სარაჯიშვილის“ მონაცემებზე დაყრდნობით.

### ცხრილი 1.3.5.

წლები	X	Y	X Y	x <sup>2</sup>	y <sup>2</sup>
2016	1,8	20 147	36 264	3,24	405 901
2017	2	11 867	23 734	4	140 825
2018	1,7	17 384	29 552	2,89	302 203
Σ	5,7	50 398	89 550	10,13	848 929

(X) – არის დამოუკიდებელი ცვლადი, დაფარვის რიცხვი

(Y)-არის დამოუკიდებელი ცვლადი, დებიტორული დავალიანების ნაშთები

ფაქტორი ამ შემთხვევაში არის დაფარვის რიცხვი, რადგან დებიტორული დავალიანება არის მისი ცვლილების შედეგი. მასზეა დამოუკიდებელი მოთხოვნების მატების ან კლების რიცხვი.

კორელაციის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:


$$r = \frac{n \cdot \sum xy - \sum x \cdot \sum y}{\sqrt{[n \cdot \sum x^2 - (\sum x)^2] [n \cdot \sum y^2 - (\sum y)^2]}}$$

n- არის წლების რაოდენობა.


$$R = (3 \cdot 50\,398 - (5.7 \cdot 50\,398)) / \sqrt{[(3 \cdot 10.13 - 32.49)] [3 \cdot 848\,929 - 2\,539\,958\,404]}^{1/2} = -0.106$$

რადგან კორელაციის კოეფიციენტი უარყოფითია, დაფარვის რიცხვსა და დებიტორული დავალიანებების ნაშთს შორის არსებობს უკუპროპორციული კავშირი. დაფარვის რიცხვის შემცირება იწვევს დებიტორული დავალიანებების ნაშთების ზრდას და პირიქით.

**გრაფიკი 1.3.4. კომპანიების დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი დღეებში 2016-2018 წ.**



**გრაფიკი 1.3.5. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ და სს „სარაჯიშვილის“ საერთო ლიკვიდურობის დინამიკა 2016-2018 წ.**



ლიკვიდურობის კოეფიციენტი ერთ-ერთი ფუნდამენტია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების დროს. იგი გვიჩვენებს, მიმდინარე აქტივები რამდენად ფარავს მიმდინარე ვალდებულებებს. მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ სს „სარაჯიშვილის“ 2018 წლის მონაცემები უკეთესია ვიდრე მეორე კომპანიის.



## თავი 2. სს „სარაჯიშვილის“ და შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ვალდებულებების ანალიზი

### 2.1 ვალდებულებების კლასიფიკაცია და მისი სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი

ვალდებულებები წარმოიქმნება საქონლის შესყიდვით ან მომსახურების მიღებით, რომელსაც ეწოდება სავაჭრო ვალდებულება. ვალდებულებები წარსული სამეურნეო მოქმედებების და მოვლენების შედეგია. ვალდებულება (კრედიტორული დავალიანება) საწარმოს დაფინანსების მოზიდულ წყაროს წარმოადგენს.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს საწარმოს მოვალეობას სხვა ფირმის წინაშე, გადაუხადოს გარკვეული ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია წარსულში სამეურნეო ოპერაციებიდან და კომპანიის აქტივებზე უარყოფითად აისახება.

ბალანსში ვალდებულებები ასახავს გასული საანგარიშგებო პერიოდის მოვლენებს და ოპერაციებს, რომელთა გადახდაც იმ დროს არ მომხდარა და განვადებულია შეთანხმებით. ეს მოვლენები და ოპერაციებია: საქონლის შესყიდვა ან მომსახურების მიღება, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხის აღება, საგადასახადო ვალდებულებები და ასევე საკანონმდებლო მოთხოვნებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.

არსებობს სავაჭრო, სასესხო და ანგარიშსწორების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები, რომლებიც გარკვეულ პერიოდში უნდა დაიფაროს.

კრედიტორული დავალიანებები დაფარვის ვადიანობის მხრივ იყოფა ორ ნაწილად: მოკლევადიან, ანუ მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად.

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიხედვით“, მოკლევადიანია ვალდებულება, თუ მას ახასიათებს შემდეგი კრიტერიუმებიდან:

- მოსალოდნელია გადახდა ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის პერიოდში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში;
- საწარმოს არ აქვს დავალიანების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება;

სხვა დანარჩენი ვალდებულება გრძელვადიანია და ერთ წელზე მეტი დაფარვის პერიოდი აქვს.

წარმოგიდგინოთ მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც არ მიეკუთვნება მიმდინარე საწარმოო ციკლს, მაგრამ იფარება ბალანსის შედგენის თარიღიდან 1 წლის განმავლობაში. ესენია: ფინანსური ვალდებულებები, მოგების გადასახადი, საბანკო ოვერდრაფტი, გადასახდელი დივიდენდები და სხვა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებია ჯგუფებს ფაქტიურ, შეფასებით და პირობით ვალდებულებებს.

ფაქტიური ვალდებულებები წარმოიქმნება ხელშეკრულებების, კონტაქტების ან კანონმდებლობის საფუძველზე და შესაძლებელია მისი ზუსტად გამოანგარიშება. ფაქტიურ ვალდებულებებს წარმოადგენს: სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები, გაცემული თამასუქები, მიღებული ავანსები, გადასახდელი დივიდენდები, გადასახდელი ხელფასი, გადასახდელი დღგ და აქციზი, აღებული სესხები და სხვა.

შეფასებითი ვალდებულებები, იგივე მოსალოდნელი ვალდებულებებია, რომელთა გამოანგარიშება სიზუსტით, კონკრეტული ფაქტის დადგომამდე შეუძლებელია. ესენია: საგარანტიო ვალდებულებები, მოგებისა და ქონების გადასახადი, შვებულების ანაზღაურება და სხვა.

პირობითი ვალდებულებები ითვლება პოტენციურად, რომელიც ჯერ არ აღიარებულა. ის შეიძლება წარმოიშვას მომავალში წარსული მოვლენების საფუძველზე. მისი ზუსტი გაანგარიშება წარმოუდგენელია. პირობითი ვალდებულებები ხშირ შემთხვევაში წარმოიქმნება სასამართლო სარჩელის გამო, რომელიც შეიძლება აღიძრას კომპანიის წინააღმდეგ სხვადასხვა შეთანხმების შესრულების ან შეუსრულებლობის შემდეგ.

მიმდინარე ვალდებულებებს მიეკუთვნება: ჩვეულებრივი სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები; აღებული სესხები; სათამასუქო ვალდებულებები; გამოშვებული ობლიგაციები; დარიცხული ვალდებულებები; საგადასახადო ვალდებულებები; გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი და სხვა.

გრძელვადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება ერთ წელზე მეტი ვადის ვალდებულებები: გრძელვადიანი სესხი, გასანაღდებელი ობლიგაცია, ფინანსური იჯარით წარმოქმნილი ვალდებულება და სხვა.

ვალდებულებების ანალიზის ჩასატარებლად აუცილებელი პირობაა: ინფორმაციის შეგროვება და სამუშაო ცხრილების შედგენა; სტრუქტურული და დინამიკური ცხრილების წარმოება; ვალდებულებების ვადიანობის განსაზღვრა.

ვალდებულებების ანალიზი ყოველთვის იწყება სტრუქტურის და დინამიკის შესწავლით, მონაცემები აიღება საწარმოს ბუღალტრული ბალანსიდან. განვიხილოთ სტრუქტურული და დინამიკური ცხრილები წარმოდგენილი საწარმოების მაგალითზე. წარმოგიდგენთ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ კრედიტორული დავალიანებების სტრუქტურულ მდგომარეობას.

**ცხრილი 2.1.1. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ვალდებულებების  
სტრუქტურა პროცენტულად**

ვალდებულებები	2016	2017	2018	წინა წელთან
<b>I. მოკლევადიანი ვალდებულებები</b>				
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	55	9,5	26	203
- აღებული მოკლევადიანი სესხი	45	90,5	71	57
- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები	-	-	3	100
<b>ჯამი</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>74</b>
<b>II. გრძელვადიანი ვალდებულებები</b>				
- აღებული გრძელვადიანი სესხები	87	30	96	9361
- გადავადებული შემოსავალი	13	70	4	147
<b>ჯამი</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>2905</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>146</b>
მათ შორის:				
მიმდინარე ვალდებულებები	58	97	49	74
გრძელვადიანი ვალდებულებები	42	3	51	2905

2.1.1. ცხრილში ნაჩვენებია მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების სტრუქტურა. ბოლოს წარმოდგენილია ვალდებულებების საერთო ჯამი და ასევე გამიჯნულია ორივე დავალიანება ცალ-ცალკე. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2016 და 2017 წლებში მოკლევადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი აღემატებოდა გრძელვადიანს, განსაკუთრებით წინა წელს 97%-ი იყო მიმდინარე ვალდებულებები. წინა წელთან შედარებით, გრძელვადიანი ვალდებულებები მეტად გაიზარდა 3%-დან 51 %-მდე და გადაასწრო კიდევ.

ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით, ერთობლივი ვალდებულებები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. წინა წელთან შედარებით, მთლიანი ვალდებულებები გაიზარდა 46%-ით. გრძელვადიანი ვალდებულებების შემადგენლობაში აღებული გრძელვადიანი სესხების წილი 96% - მდე გაიზარდა, ხოლო წინა წელთან შედარებით მატებამ 9361%-ით.

მიმდინარე ვალდებულებების შემადგენლობაში შეინიშნება სხვადასხვა სტრუქტურული ცვლილებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების წილი 2017 წელს შემცირდა 9,5%-მდე, მაგრამ მომდევნო წელს მაღალი ზრდის ტემპი შეინიშნება, 103 %-ით გაიზარდა აღნიშნული ვალდებულება.

მოკლევადიანი სესხის მაჩვენებელიც საკმაოდ მზარდი ტენდენციით ხასიათდება 2017 წელს. მოკლევადიანი ვალდებულებების 90,5 % უკავია, ხოლო მომდევნო წელს ეს მაჩვენებელი მცირდება 71%-მდე. საერთო ჯამში ბოლო წლის მაჩვენებელი წინა პერიოდთან მიმართებით 47%-ით კლებულობს.

ფინანსურმა მართვლობამ დეტალურად უნდა გაანალიზოს თითოეული მაჩვენებელი და დაადგინოს ამ ცვლილებების მიზეზები. კონკრეტულად უნდა განიხილოს რის საფუძველზე იზრდება ასე სწრაფად ყოველ წელს მთლიანი ვალდებულებები, შესწევს თუ არა ძალა საწარმოს გაუმკლავდეს ასეთ მზარდ ვალდებულებებს და აუცილებელია მისი შემცირების გზების გატარება.

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ კომპანიის ვალდებულებების სტრუქტურის შესწავლის შემდეგ განვიხილავთ დინამიკას, თუ როგორი ტენდენციებით ხასიათდებოდა წინა პერიოდში ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, რადგან ყველა კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი ამოცანაა მოგების მაქსიმიზაცია და საკმარისი

ფულის არსებობა, რომ ადვილად გაანაწილონ ფულადი აქტივები, ამიტომ საინტერესო იქნება ვალდებულებების, აქტივების, შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის, მოგების მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციების ანალიზი.

**ცხრილი 2.1.2. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ვალდებულებების დინამიკა  
2016-2018 წლებში პროცენტულად**

მაჩვენებლები	2016	2017	2018
1. ვალდებულებები სულ	100	159	233
2. გრძელვადიანი ვალდებულებები	100	10	290
3. მოკლევადიანი ვალდებულებები	100	263	194
4. საკუთარი კაპიტალი	100	132	166
5. სულ აქტივები	100	140	187
6. შემოსავალი რეალიზაციიდან	100	106	132
7. წლიური მოგება	100	133	152

2.1.2. ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავახასიათოთ თითოეული მაჩვენებლის ტენდენციები სამი წლის მანძილზე. (წინა წლების ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი). აღმავალი იყო მოცემული მონაცემები, თუ პირიქით და რა გავლენა იქონია რომელიმეს ცვლილებამ ერთი-მეორეზე. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ვალდებულებების სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით გრძელვადიანი ვალდებულებების. ანალიტიკოსმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს გრძელვადიანი ვალდებულებები, რის საფუძველზე მოხდა ასეთი დაცემა 2017 წელს და მომდევნო წელს ასეთი სწრაფი ტემპით მატება. აღსანიშნავია მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირება ბოლო წელს. ეს შეიძლება განპირობებული იყოს მიმდინარე აქტივებში დაბანდებით.

ზემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია შევავასოთ თითოეული მაჩვენებლის ცვლილება და გავაკეთოთ ანალიზი. როდესაც საკუთარი კაპიტალის წილი ყოველ წელს მზარდია, ანალოგიურად შეგვიძლია ვთქვათ აქტივებზე და წლიურ მოგებაზე, მაშინ კომპანია რატომ ზრდის ვალდებულებებს. ამისათვის ანალიტიკოსმა პასუხი უნდა გასცეს თუ რა აუცილებლობა არსებობდა ამისათვის და რა მიზნებისთვის

იყენებს ვალდებულებებს. მოგეხსენებათ, 2018 წელს გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდამ 190 % შეადგინა.

წარმოგიდგენთ სს „სარაჯიშვილის“ კრედიტორული დავალიანებების სტრუქტურულ ანალიზს.

**ცხრილი 2.1.3. სს „სარაჯიშვილის“ ვალდებულებების სტრუქტურა პროცენტულად**

ვალდებულებები	2016	2017	2018	წინა წელთან
<b>I. მოკლევადიანი ვალდებულებები</b>				
-სავაჭრო ვალდებულებები	30,5	9,6	36,4	358
- აღებული მოკლევადიანი სესხი	57,1	86,3	49,1	54
-გადასახდელი დივიდენდები	9,5	0,2	7,5	3072
-გადასახდელი ხელფასები	1,2	0,3	0,1	40
-საგადასახადო ვალდებულება	1,7	1,7	3,7	209
-გადავადებული შემოსავალი	-	1,9	-	-
-მიღებული ავანსები	-	-	3,2	13543
<b>ჯამი</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>95</b>
<b>II. გრძელვადიანი ვალდებულებები</b>				
- აღებული გრძელვადიანი სესხები	100	100	100	215
<b>ჯამი</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>215</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>139</b>
მათ შორის:				
მიმდინარე ვალდებულებები	52,8	63,4	43,3	95
გრძელვადიანი ვალდებულებები	47,2	36,6	56,7	215

ცხრილში 2.1.3. ნაჩვენებია საწარმოს ვალდებულებები, როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დავადგინეთ რამდენი წილი უკავია პროცენტულად თითოეულ ვალდებულებას მოცემულ მთლიან დავალიანებებში.

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვალდებულებების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აღებულ სესხებს უკავია ყველა წლის მონაცემებში. 2018 წლისგან განსხვავებით, მოკლევადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი ყოველთვის აღემატებოდა გრძელვადიან ვალდებულებებს, მაგრამ ბოლო წელს საგრძნობლად გაიზარდა და გადააჭარბა მიმდინარე ვალდებულებებს. საერთო ვალდებულებების ჯამი მთლიანობაში გაზრდილია წინა პერიოდებთან შედარებით, რაც შეიძლება კარგი არ იყოს საწარმოსთვის. აღსანიშნავია გასაცემი ხელფასების საერთო თანხა ყოველი წლისთვის, საინტერესოა რამ გამოიწვია ასეთი კლებადი მაჩვენებელი. ასევე გასარკვევია გასაცემი დივიდენდების ასეთი ტემპით ზრდა ბოლო წელს, როდესაც საწარმო ზრდის ვალდებულებებს აღებული სესხების მხრივ და ამ დროს გასაცემი დივიდენდის თანხა საკმაოდ ბევრია.

კომპანიის ვალდებულებების სტრუქტურის განხილვის შემდეგ აუცილებელია მისი დინამიკის გაანალიზება. აღნიშნული დაგვეხმარება შევადაროთ სხვადასხვა მაჩვენებლები ერთმანეთს და დავადგინოთ ურთიერთკავშირი. განვიხილოთ რა ტენდენციით ხასიათდება თითოეული და რამ გამოიწვია მათი ცვალებადობა.

**ცხრილი 2.1.4. სს სარაჯიშვილის ვალდებულებების დინამიკა 2016-2018 წლებში**

მაჩვენებლები	2016	2017	2018
1. ვალდებულებები სულ	100	79	110
2. გრძელვადიანი ვალდებულებები	100	61	132
3. მოკლევადიანი ვალდებულებები	100	95	90
4. საკუთარი კაპიტალი	100	109	111
5. სულ აქტივები	100	100,4	110
6. შემოსავალი რეალიზაციიდან	100	98	123
7. წლიური მოგება	100	96	117

2.1.4. ცხრილის მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება და აუცილებელია თითოეული მაჩვენებლის განხილვა, თუ რამ გამოიწვია ასეთი შედეგები. კომპანიის ანალიტიკოსმა უნდა განიხილოს ვალდებულებების ასეთი მნიშვნელოვანი

ზრდა რამ გამოიწვია და რისთვის არის განკუთვნილი გრძელვადიანი სესხი. გასარკვევია რამდენად გამართლებულია ასეთი ქმედება საწარმოსათვის.

2017 წელს შემცირდა შემოსავალი რეალიზაციიდან. შესაბამისად ეს უარყოფითად აისახა მოგების მაჩვენებელზე. ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, რომ მოგების ამგვარი შემცირება გამოწვეული იყო სხვადასხვა ხარჯების ზრდით და ვალუტის კურსთაშორისი ცვლილებით, რომელიც შემდეგ ზარალში აისახა.

აქტივების ზრდა შესაძლოა გამოწვეული იყოს ვალდებულებების დაბანდებით აქტივებში. საწარმოს მენეჯმენტი უნდა ეცადოს დროულად დაფაროს ვალდებულებები, რადგან ეს საწარმოს მდგომარეობაზე აისახება პირდაპირპროპორციულად. თუ კომპანია ვერ ფარავს ვალდებულებებს ის ვერ იქნება გადახდისუნარიანი და ბაზარზე სტაბილურად ვერ იფუნქციონირებს. ამიტომ ანალიტიკოსებმა უნდა გამოიკვლიონ მიზეზები ვალდებულებების არსებობის ცვლილების და მდგომარეობის ტენდენციები და შეეცადნენ მოცემულ დროის პერიოდში შეამცირონ დავალიანებები.



## 2.2. ვალდებულებების მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი

ყოველი საწარმო ცდილობს, რაც შეიძლება დროულად დაფაროს მომწოდებლების დავალიანებები, რადგან მოიპოვოს მომწოდებელთა ლოიალური დამოკიდებულება. სხვა შემთხვევაში, დავალიანების დაგვიანებამ შეიძლება გამოიწვიოს მეტი დანახარჯები. როდესაც სისტემატიური სახე მიეცემა ვალდებულებების დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, მეტი შანსია მომწოდებელმა უარი თქვას მომარაგებაზე. თუ კომპანია ვერ ახერხებს დროულად დაფაროს ვალდებულებები ეს მის გადახდისუნარიანობას ასახავს, რის საფუძველზეც არავის მოუხდება მასთან დაკავშირება და მუშაობა. ეს ყველაფერი კი მოქმედებს საწარმოო პროცესებზე, თანამშრომლების შემცირებაზე და მთლიანობაში კომპანიის გაკოტრების წინაპირობაზე. ანალიტიკოსებმა უნდა ჩაატარონ კვლევა ვადაგადაცილებული დავალიანებების შესახებ, დაადგინონ მათი რაოდენობა და შემდეგ იზრუნონ აღმოფხვრის გზებზე, რადგან ყოველივე ეს უარყოფით შედეგს მოუტანს კომპანიის როგორც რეპუტაციას, ისე საქმიანობას.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების არსებობისა და მდგომარეობის მაჩვენებლებია:

- სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ხვედრითი წილის განსაზღვრა ვალდებულებების მიმართ;
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ფარდობა აქტივებთან და საკუთარ კაპიტალთან ცალ-ცალკე;
- მომწოდებლებისადმი დავალიანებების დაფარვის პერიოდისა და დაფარვის რიცხვის მაჩვენებლები;
- მომწოდებლებისადმი დავალიანებების დაფარვის დაყოვნების კოეფიციენტი და სხვა.

ჩვენ შევისწავლეთ სხვადასხვა მაჩვენებლები:

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი - ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან. იგი გიჩვენებს რისკების ცვლილებას წინა პერიოდში და არ უნდა აღემატებოდეს 1-ს.

ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი.

$$\text{ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული}}{\text{მოლიან ვალდებულებები}}$$

იგი გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული რამდენჯერ მეტია ვალდებულებების საერთო რაოდენობაზე.

ვალდებულებების ანალიზის შესწავლაში გვებმარება შემდეგი მაჩვენებლები: დაფარვის პერიოდი, დაფარვის რიცხვი წელიწადში და დაყოვნების კოეფიციენტი.

კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი განსაზღვრავს, რამდენი დღე სჭირდება საწარმოს მომწოდებლებთან დავალიანების დასაფარად წელიწადში. გამოითვლება ორი მეთოდით:

$$\text{კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი} = \frac{\text{მოწოდ-დან დავალიანების საშ. ნაშთი} * 365}{\text{კრედიტით შესყიდვები}}$$

$$\text{კრედ. დავ. დაფარვის პერიოდი} = \frac{\text{სავაჭრო კრედ. დავ. საშ. ნაშთი}}{\text{დღიური შესყიდვები}}$$

კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი გვიჩვენებს, წელიწადში რამდენჯერ ფარავს საწარმო დავალიანებებს მომწოდებლებთან. გამოითვლება:

$$\text{კრედიტ. დავ. დაფარვის რიცხვი} = \frac{\text{კრედიტით შესყიდვები წლიურად}}{\text{მომწ. დავ. საშ. ნაშთი}}$$

ამ კოეფიციენტის შებრუნებულ მაჩვენებელს ეწოდება კომპანიის დავალიანებების დაყოვნების კოეფიციენტი.

$$\text{კრედიტ. დავ. დაფარვის რიცხვი} = \frac{365}{\text{ვალდ. დაფარვის პერიოდი}}$$

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა ვალდებულებების დაფარვის მაჩვენებლების ანალიზი. გამოვითვალეთ კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი და დაფარვის რიცხვი წელიწადში საანალიზო საწარმოებზე. აღნიშნული ფორმულის გამოსათვლელად საჭიროა შემდეგი მონაცემები შპს „კახური ტრადიციული მელვინეობის“ კომპანიის ფინანსური ანგარიშგებიდან: მოწოდებიდან დავალიანების

საშუალო წლიური ნაშთი და კრედიტით შესყიდვები წელიწადში. ვიყენებთ 2018 წლის მონაცემებს.

სავაჭრო კრედ. დავ. საშ. ნაშთია 6 036 749ლ.; დღიური შესყიდვები 146 165 ლ.

დღიური შესყიდვები =  $(53\,350\,361 / 365) = 146\,165$  ლ

კრედიტ. დავალიანებების დაფარვის პერიოდი =  $6\,036\,749 / 146\,165 = 41,3$  დღე ან,

$(6036*365) / 53350 = 41,3$  დღე

კრედიტ. დავ. დაფარვის რიცხვი წელიწადში =  $365 / 41,3 = 8,8$ ჯერ ან,  $53350 / 6036 = 8,8$  ჯერ.

ჩატარებული კვლევის თანახმად შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ აღნიშნულ კომპანიას 41,3 დღე სჭირდება საწყისი დღიდან მომწოდებლებთან ვალდებულებების დასაფარად, ანუ წელიწადში თითქმის 8,8 ჯერ ანაზღაურებს მომწოდებელთა დავალიანებას.

კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდის ზრდა ყოველთვის გამოიწვევს მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ნაშთების ზრდას, რაც უარყოფითად აისახება საწარმოს ლიკვიდურობაზე. იმ შემთხვევაში თუ ჩვენს მიერ გამოთვლილი მეორე მაჩვენებელი - დაფარვის რიცხვი გაიზრდება, მაშინ ეს შეამცირებს კრედიტორული დავალიანებების ნაშთს და დადებით მოვლენად აისახება.

როდესაც იზრდება კრედიტით შესყიდვები, შედეგად იზრდება კრედიტორული დავალიანებების მოსალოდნელი ნაშთები. ხოლო, დაფარვის რიცხვის ზრდა გამოიწვევს კრედიტორული დავალიანებების ნაშთის შემცირებას. ეს დამოკიდებულება შემდეგი მოდელით გამოიხატება:

$$\text{კრედიტ. დავ. ნაშთი} = \text{კრედიტით შესყიდვები} : \frac{\text{კრედ. შესყიდვები}}{\text{კრედ.დავ.ნაშთი}}$$

ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენებით, აქაც დავადგინოთ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ კომპანიის კრედიტორული დავალიანებების ნაშთების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.

**ცხრილი 2.2.1. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ კრედიტორული  
დავალიანების ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები**

	2017	2018	გადახრა
კრედიტით შესყიდვები (ათ. ლ)	39 797	53 350	+ 13 553
კრედ. დავ. საშ. ნაშთი (ათ. ლ)	6385	6 036	-349
კრედ. დავ. დაფარვის რიცხვი	6,2	8,8	+2,6

ფაქტორთა გავლენის გაზომვა ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენებით:

მწკრივი =  $39\,797 : 6,2 = 6\,385$  ათ. ლ.

მწკრივი 1 =  $53\,350 : 6,2 = 8\,604$  ათ. ლ.

კრედიტით შესყიდვების ცვლილების გავლენა გაიანგარიშება:

$8\,604 - 6\,385 = + 2\,219$  ათ. ლ.

მწკრივი 2 =  $53\,350 : 8,8 = 6\,036$  ათ. ლ.

კრედიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის ცვლილების გავლენა იქნება:

$6\,036 - 8\,604 = - 2\,598$  ათ. ლ.

**ჩატარებული გაანგარიშებების შედეგები (ათ.ლ):**

კრედიტით შესყიდვების ცვლილების გავლენა + 2 219

კრედ. დავ. დაფარვის რიცხვის ცვლილების გავლენა - 2 598

-----  
კრედიტორული დავალიანებების ნაშთების საერთო გადახრა - 349

ჩატარებული გაანგარიშებით, კრედიტით შესყიდვები გაიზარდა + 13 553 ათ. ლ.- ით, ხოლო კრედიტორული დავალიანების საშუალო ნაშთის მაჩვენებელი შემცირდა -349 ათ. ლ.-ით. შესაბამისად კრედიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის კოეფიციენტი გაიზარდა + 2,6 -ით, რომელიც აისახა კრედიტორული დავალიანებების ნაშთების შემცირებაზე, რაც დადებითია კომპანიისთვის.

ამრიგად, ანალიზის საფუძველზე, მიმდინარე წლის კრედიტორული დავალიანებების ნაშთი შემცირდა 349 ათ. ლარით. კრედიტით შესყიდვების ზრდამ 2

219 ათ. ლარით, ხოლო კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ზრდამ გამოიწვია კრედ. დავალიანებების ნაშთის შემცირება 2 598 ათ. ლარით.

შემდეგ შევისწავლეთ სს „სარაჯიშვილის“ ვალდებულებების დაფარვის პერიოდი, თუ რამდენ დღეში ფარავს კომპანია აღებულ ვალდებულებებს მომწოდებლებიდან და ამავდროულად დავადგინოთ კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი, ანუ რამდენჯერ ფარავს საწარმო მომწოდებლების დავალიანებებს მთლიანი წელიწადის განმავლობაში. შემდეგ გავანალიზოთ რამდენად საიმედოა და ლიკვიდური კომპანია თანამშრომლობისთვის. ვანგარიშობთ 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც კომპანიის ფინანსური ანგარიშგებიდან ავიღეთ.

სავაჭრო კრედ. დავ. საშ. ნაშთია 3 072 938ლ.; დღიური შესყიდვები 82 044ლ

**დღიური შესყიდვები = (29 946 364 /365)= 82 044ლ**

**კრედიტ. დავალიანებების დაფარვის პერიოდი = 3 072 938 / 82 044 = 37,4დღე ან,**

**(3 072 938 \*365)/29 946 364 = 37,4 დღე.**

**კრედიტ. დავ. დაფარვის რიცხვი წელიწადში = 365/37,4 = 9,7ჯერ ან, 29 946 / 3 072 =9,7 ჯერ.**

განგარიშები აჩვენებს, რომ დავალიანების წარმოქმნის დღიდან მოცემულ კომპანიას საშუალოდ სჭირდება 37,4 დღე მომწოდებლებთან ვალდებულებების დაფარვისთვის, ხოლო წელიწადში დაახლოებით 9,7 ჯერ ანაზღაურებს მომწოდებლებთან დავალიანებებს.

კომპანიის კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდის განგარიშება აუცილებელია, რათა დადგინდეს რა დრო სჭირდება საწარმოს მომწოდებლების დავალიანებების გადახდის და შემდგომი საქმიანობის უკეთ დასაგეგმად. აღნიშნული მაჩვენებლები გამოსახავს კომპანიის გადახდისუნარიანობას. თუ დაფარვის პერიოდის მაჩვენებელი იზრდება, მაშინ კომპანიის კრედიტორული დავალიანებების ნაშთიც იზრდება, ხოლო დაფარვის რიცხვის ზრდა გამოიწვევს მომწოდებელთა დავალიანებების შემცირებას.

ახლა გამოვიყენოთ ჯაჭვური ჩასმის ხერხი და დავადგინოთ სს „სარაჯიშვილის“ კრედიტორული დავალიანებების ნაშთების გადახრაზე მოქმედი ფაქტორები დეტერმინირებული ანალიზისთვის.

**ცხრილი 2.2.2. სს „სარაჯიშვილის“ კრედიტორული დავალიანებების ნაშთის გადახრაზე  
მოქმედი ფაქტორები**

	2017	2018	გადახრა
კრედიტით შესყიდვები (ათ. ლ)	24 962	29 946	+ 4 984
კრედ. დავ. საშ. ნაშთი (ათ. ლ)	2 996	3 072	+ 76
კრედ. დავ. დაფარვის რიცხვი	8,3	9,7	+ 1,4

ჯაჭვური ჩასმის ხერხით კვლევის ჩატარება:

$$\text{მწკრივი} = 24\,962 : 8,3 = 2\,996 \text{ ათ. ლ.}$$

$$\text{მწკრივი} = 29\,946 : 8,3 = 3\,607 \text{ ათ. ლ.}$$

კრედიტით შესყიდვების ცვლილების გავლება გაიანგარიშება:

$$3\,607 - 2\,996 = + 611 \text{ ათ. ლ.}$$

$$\text{მწკრივი} = 29\,946 : 9,7 = 3\,072 \text{ ათ. ლ.}$$


კრედიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის ცვლილების გავლენა იქნება:

$$3\,072 - 3\,607 = - 535 \text{ ათ. ლ.}$$

ამრიგად, ანალიზის საფუძველზე, 2018 წლის კრედიტორული დავალიანებების საშუალო ნაშთი გაიზარდა 76 ათ. ლარით. კრედიტით შესყიდვების ზრდამ 611 ათ. ლარით, ხოლო კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ზრდამ გამოიწვია კრედ. დავალიანებების ნაშთის შემცირება 535 ათ. ლარით. როდესაც კრედიტით შესყიდვები იზრდება, მატულობს კრედიტორული დავალიანებების ნაშთებიც, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში მისი შემცირება გამოწვეულია დავალიანებების დაფარვის რიცხვის ცვლილების გავლენით.

ორივე კომპანიაში ჩატარებული ვალდებულებების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს და განვსაზღვროთ რომელს უფრო უკეთესი მდგომარეობა აქვს დავალიანებების დაფარვის მიმართულებით.

გრაფიკი 2.2.3. კომპანიების კრედიტორული დავალიანებების  
დაფარვის რიცხვის დინამიკა



ანალიზის მიხედვით, პირველი კომპანიის მაჩვენებლები ბევრად უკეთესია, ვიდრე კომპანია სარაჯიშვილის, რადგან უფრო სწრაფი ვალდებულებების დაფარვის ტენდენციით ხასიათდება. კრედიტორული დავალიანებების ნაშთი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მეორე კომპანიაში კი პირიქით ზრდადია. დავალიანების დაფარვის რიცხვი ორივე შემთხვევაში ზრდადია, მაგრამ შპს კახური ტრადიციული მეღვინეობის დავალიანებების ნაშთი ბევრად მცირდება დაფარვის რიცხვის ზრდის პირობებში, ვიდრე ეს ჩანს მეორე კომპანიის მონაცემებით.

## 2.3 კორელაცია მიმდინარე მოთხოვნებსა და ვალდებულებებს

### შორის საანალიზო საწარმოებში

საწარმოთა ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, აუცილებელია მოთხოვნების და ვალდებულებების ანალიზი, რომლის საშუალებით უნდა აღმოიფხვრას არასასურველი გადახრები და უნდა მოხდეს დადებითი მოვლენების სტიმულირება.

ანალიტიკოსები იყენებენ კორელაციის კოეფიციენტს, რომ დაადგინონ კავშირი მოთხოვნებისა და ვალდებულებების მაჩვენებლების ცვლილების ტემპებს შორის. მნიშვნელოვანია დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ცვლილების ტემპების შედარება და მათი კავშირის შესწავლა კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით.

კორელაცია ზომავს ორ ცვლადს შორის კავშირს, რამდენად დაახლოებულია ორი ცვლადი ერთმანეთთან ან არის თუ არა. ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, სრულყოფილი ან ნაწილობრივი. ცვლადებს შორის კავშირი თუ პირდაპირპროპორციულია, ეს დადებითი კორელაციაა, თუ უკუპროპორციულია, მაშინ უარყოფითი.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი ცვლადის ზრდა იწვევს მეორე ცვლადის ზრდას, ან პირიქით ერთი ცვლადის კლება ამცირებს მეორე ცვლადს, კავშირი პირდაპირპროპორციულია და მას ეწოდება სრულყოფილი დადებითი კორელაცია. თუ კავშირი უკუპროპორციულია და ერთი ცვლადის ზრდა იწვევს მეორეს კლებას ან პირიქით, ეს არის სრულყოფილი უარყოფითი კორელაცია.

კორელაციის კოეფიციენტი მერყეობს -1 და +1 -ს შორის.

კორელაციის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$r = \frac{n * \sum xy - \sum x * \sum y}{\sqrt{[n * \sum x^2 - (\sum x)^2] [n * \sum y^2 - (\sum y)^2]}}$$

(X) - არის დამოუკიდებელი ცვლადი

(Y) - არის დამოკიდებული ცვლადი

სანამ გამოანგარიშებას დავიწყებთ, უნდა განვიხილოთ რომელი დავალიანების ცვლადია დამოკიდებული და რომელი დამოუკიდებელი. ჯერ გავარკვიოთ რომელი



დავალიანების ცვლილება ახდენს გავლენას მეორეზე. როდესაც კომპანიის მოთხოვნების დაფარვის რიცხვი იზრდება, ანუ მოთხოვნების ნაშთები მცირდება, ამ დროს შესაძლებლობა აქვს ვალდებულებები შეამციროს, ამიტომ დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის ცვლილება მოახდენს გავლენას კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვზე და არა შებრუნებით. აქედან გამომდინარე, დებიტორული დავალიანების რიცხვი დამოუკიდებელი ცვლადია, ხოლო კრედიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვი დამოკიდებელი.

მიმდინარე დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვისა და კრედიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვს შორის კავშირის დასადგენად გამოვიყენოთ კორელაციის კოეფიციენტი, შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მონაცემებზე დაყრდნობით.

**ცხრილი 2.3.1. კორელაციის კოეფიციენტის ცვლადები**

წლები	x	y	xy	X <sup>2</sup>	Y <sup>2</sup>
2016	2,8	3,5	9,8	7,8	12,2
2017	3,4	6,2	21	11,5	38,4
2018	4,7	8,8	41,3	22	77,4
Σ	10,9	18,5	72,1	41,3	128

(X) - არის დამოუკიდებელი ცვლადი, მიმდინარე დებ. დავ. დაფარვის რიცხვი

(Y) - არის დამოკიდებელი ცვლადი, კრედ. დავალიანების დაფარვის რიცხვი

$$r = (3 * 72,1 - (10,9 * 18,5)) / \left[ [(3 * 41,3 - 118,81)] * [3 * 128 - 342,25] \right]^{1/2} = 0,97$$

რადგან კორელაციის კოეფიციენტი სრულყოფილად დადებითია, დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვსა და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვს შორის არსებობს პირდაპირპროპორციული კავშირი. დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის ზრდა ქმნის კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ზრდის გარემოპირობებს და პირიქით.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული სრულყოფილად დადებითი კორელაცია გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ საწარმოში დადებითი შედეგებია დებიტორულ და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის მხრივ.

ახლა დავიანგარიშოთ სს „სარაჯიშვილის“ მონაცემებზე დაყრდნობით, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვებს შორის კორელაციური კავშირი.

**ცხრილი 2.3.2. კორელაციის კოეფიციენტის ცვლადები**

წლები	X	Y	X Y	X <sup>2</sup>	Y <sup>2</sup>
2016	1,8	6,9	12,4	3,2	47,6
2017	2	8,3	16,6	4	67,2
2018	1,7	9,7	16,4	2,8	94
Σ	5,5	24,9	45,4	10	209,2

(X) - არის დამოუკიდებელი ცვლადი, მიმდინარე დებ. დავ. დაფარვის რიცხვი

(Y) - არის დამოკიდებული ცვლადი, კრედ. დავალიანების დაფარვის რიცხვი

$$r = (3 * 45,4 - (5,5 * 24,9)) / \left[ [(3 * 10 - 30,25)] * [3 * 209,2 - 620,01] \right]^{1/2} = -0,0004$$


რადგან კორელაციის კოეფიციენტი უარყოფითია, დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვსა და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვს შორის არსებობს უკუპროპორციული კავშირი. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ მენეჯმენტი კრედიტორული დავალიანებების დაფარვის მიზნის იყენებდა არა საკუთარ ფულს, ანუ დებიტორებიდან მიღებულ ფულად სახსრებს, არამედ აღებულ სესხებს. დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის კლება იწვევს კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ზრდას და პირიქით.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული უარყოფითი კორელაცია გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ საწარმოში არასტაბილური მდგომარეობაა დებიტორულ და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის მხრივ.

მიმდინარე მოთხოვნებისა და ვალდებულებების ფარდობის საფუძველზე შეისწავლება საწარმოთა გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი, რომელიც

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული გამოცდილების თანახმად 2-სა და 3-ს შორის უნდა მერყეობდეს.

**გრაფიკი 2.3.3. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ და სს „სარაჯიშვილის“ საერთო გადახდისუნარიანობის დინამიკა 2016-2018წ.**



განგარიშებებმა აჩვენა, რომ დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვსა და საერთო გადახდისუნარიანობას შორის უარყოფითი კორელაციაა ორივე საწარმოში.

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობაში“  $R = -0.19$   $D = 0.03$  ანუ 3%

სს „სარაჯიშვილში“  $R = -0.87$ ;  $D = 0.75$  ანუ 75%

## დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე შრომაში - „მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზის აქტუალური საკითხები საქართველოს ღვინის კომპანიების მაგალითზე“ განხილულ იქნა მოთხოვნების, მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზის საკითხები. შესწავლილ იქნა მათი გამოყენების მაჩვენებლები საანალიზო საწარმოების მაგალითზე. ესენია: შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ და სს „სარაჯიშვილი“.

მიმდინარე მოთხოვნების სტრუქტურული ანალიზით ირკვევა, რომ ორივე კომპანიის მიმდინარე აქტივებში 2016-2018 წლებში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით მოთხოვნები მიწოდებიდან წარმოადგენს. ასევე მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების წილი საგრძნობლად მეტია გრძელვადიან მოთხოვნებზე, რაც მოცემული კომპანიების ლიკვიდურობაზე აისახება დადებითად.

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობისგან“ განსხვავებით, სს „სარაჯიშვილი“ შემცირდა სავაჭრო მოთხოვნების წილი, განსაკუთრებით 2018 წელს, რაც გამოიწვია ფინანსური აქტივით გაცემული ავანსების ზრდამ სავაჭრო მოთხოვნების ხარჯზე და ამას მეტყველებს გაცემული ავანსების პროცენტული წილი ბოლო ორი წლის მაჩვენებელში. 16% -დან 41 % -მდე გაიზარდა გაცემული ავანსები 2018 წელს, გასულ პერიოდთან შედარებით.

განხილული ორი ღვინის კომპანიის მაგალითზე და მათ მონაცემებზე დაყრდნობით, გავანალიზეთ 2014-2018 წლების დინამიკური ტენდენციები მოთხოვნების ნაწილში და შევადარეთ ამავე კომპანიების სხვა მაჩვენებლებს. ორივე შემთხვევაში, თითქმის ერთნაირია მოთხოვნების ზრდის ტენდენცია. მნიშვნელოვანია ფულადი თანხების ნაშთების მაჩვენებლებიც, რომლებიც მოთხოვნის ზრდასთან ერთად უნდა მცირდებოდეს, მაგრამ პირველი საწარმოს შემთხვევაში პირიქით იზრდება 2015-2016 წლებში, რაც გამოწვეულია შემოსავლების ზრდით. ხოლო 2017-2018 წლებში მოკლევადიანი მოთხოვნების სწრაფმა ზრდამ საგრძნობლად შეამცირა ფულადი თანხები. ფულადი თანხების შემცირება შესაძლოა გამოეწვია საექვო მყიდველების ზრდას. სს „სარაჯიშვილის“ შემთხვევაში, 2018 წელს საგრძნობლად მოიმატა

მოკლევადიანმა დებიტორულმა დავალიანებებმა და ფულადი თანხებიც გაიზარდა 140 %-ით. ფულადი აქტივის ზრდა, მიუხედავად მოთხოვნების ასეთი ზრდის ფონზე, განაპირობა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ზრდამ.

შემდეგ განვიხილეთ ორივე საწარმოს დებიტორული დავალიანებების მაჩვენებლები, მათი ბრუნვაობა, დაფარვის პერიოდი და დაფარვის რიცხვი წელიწადში. ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით მივიღეთ მოთხოვნების დაფარვის ორი განსხვავებული სურათი. შპს „კახური ტრადიციულ მეღვინეობაში“ დინამიკურმა ცხრილებმა და გამოთვლებმა აჩვენა დებიტორული დავალიანებების ამოღების ტენდენციის პროგრესი, ყოველ წელს უმჯობესდება მოთხოვნების დაფარვის რიცხვი. ხოლო სს „სარაჯიშვილში“ საპირისპირო მაჩვენებლები გვხვდება. ამ შემთხვევაში შემცირებასთან გვაქვს საქმე, ანუ დაფარვის პერიოდი იზრდება და დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი მცირდება, რამაც გამოიწვია დებიტორული დავალიანებების გაზრდა და საწარმოს გადახდისუნარიანობის დაქვეითება.

კვლევებით, დებიტორული დავალიანებების ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრისას გამოვლინდა ორივე კომპანიის ერთმანეთისგან განსხვავებული შედეგები. პირველად განხილული კომპანიის კვლევამ გვიჩვენა დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის ზრდა 1,29 ერთეულით, დებიტორული დავალიანების ნაშთი შემცირდა 6 481 ათასი ლარით, რაც დადებითი მოვლენაა. მეორე კომპანიის დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის შემცირებამ 0,3 ერთეულით, დებიტორული დავალიანების ნაშთი გაზარდა 2 615 ათასი ლარით, რაც უარყოფითი მოვლენაა. ამ ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ შედეგები უფრო უკეთესია ვიდრე სს „სარაჯიშვილის“.

კრედიტორული დავალიანებების სტრუქტურული ანალიზის მიხედვით, ორივე კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების წილი 2018 წლის მიხედვით, კლებულობს გრძელვადიანთან შედარებით. საერთო ვალდებულებების ჯამი მთლიანობაში გაზრდილია წინა წელთან შედარებით, ორივე კომპანიაში.

კრედიტორული დავალიანებების ნაშთების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გაანგარიშებით დადგინდა, რომ თითოეული კომპანიის კრედიტით

შესყიდვები გაიზარდა, რასაც უნდა გამოეწვია კრედიტორული დავალიანებების ნაშთების ზრდა, მაგრამ გაიზარდა ვალდებულებების დაფარვის რიცხვი, რომელმაც შეამცირა კრედიტორული დავალიანებების ნაშთები ორივე საწარმოში. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ვალდებულებების ნაშთები შემცირდა 2 598 ათ. ლარით, ხოლო სს „სარაჯიშვილის“ 535 ათ. ლარით.

ანალიზის მიხედვით, დავალიანებების დაფარვის მიმართულებით, პირველი კომპანიის მაჩვენებლები ბევრად უკეთესია, ვიდრე კომპანია სარაჯიშვილის, რადგან უფრო სწრაფი ვალდებულებების დაფარვის ტენდენციით ხასიათდება. კრედიტორული დავალიანებების ნაშთი კლებადია, მეორე კომპანიაში კი პირიქით ზრდადია. დავალიანების დაფარვის რიცხვი ორივე შემთხვევაში ზრდადია, მაგრამ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დავალიანებების ნაშთი ბევრად მცირდება დაფარვის რიცხვის ზრდის პირობებში, ვიდრე ეს ჩანს მეორე კომპანიის მონაცემებით.

კომპანიების მოთხოვნების და ვალდებულებების დაფარვის რიცხვებს შორის კავშირის დასადგენად გამოთვლილ იქნა კორელაციის კოეფიციენტი.

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ შემთხვევაში, აღმოჩნდა დადებითი კორელაცია 0,97, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,94 ანუ 94%-ა. ეს ნიშნავს, რომ მოცემულ საწარმოში აღებული წლების განმავლობაში კრედიტორული დავალიანებების ნაშთების ცვლილების 94% გამოწვეული იყო დებიტორული დავალიანების ნაშთების ცვლილებით. ხოლო სს „სარაჯიშვილში“ ადგილი აქვს საწინააღმდეგო მდგომარეობას. კორელაციის კოეფიციენტი უარყოფითია - 0,0004. რაც ნიშნავს უკუპროპორციულ დამოკიდებულებას. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ მენეჯმენტი კრედიტორული დავალიანებების დაფარვის მიზნით იყენებდა არა საკუთარ ფულს ანუ დებიტორებიდან მიღებულ ფულად სახსრებს არამედ აღებულ სესხებს.

კომპანიების საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშებით, ნორმის ფარგლებში იმყოფებოდა გამოთვლილი კოეფიციენტი „კახურ ტრადიციულ მეღვინეობაში“, მაგრამ არასტაბილურობით ხასიათდებოდა.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შემცირების და საწარმოთა გადახდისუნარიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა შემდგომი რეკომენდაციები:

1. მენეჯმენტმა სამომავლოდ შეარჩიოს საიმედო გადახდისუნარიანობის მყიდველები.
2. ხელმძღვანელობას შეუძლია გამოიყენოს დებიტორული დავალიანებების დაფინანსების ღონისძიებები, ფაქტორინგი და ანგარიშ-ფაქტურით აღრიცხვა.
3. ვადადამდგარ და ვადაგადაცილებულ დებიტორულ დავალიანებებზე გაძლიერდეს კონტროლი, რომელიც შეიძლება იყოს წერილობითი ფორმით ან ტელეფონის საშუალებით შეხსენება, უკიდურეს შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს.
4. კომპანიის მენეჯმენტმა მოახდინოს ბაზრების დივერსიფიკაცია, ანუ ისეთი ბაზრების მონახვა, სადაც მაღალია მოთხოვნა მის პროდუქციაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს).
2. ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1 - ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“.
3. ACCA- Book F3- ფინანსური აღრიცხვა, 2016.
4. F7 – ფინანსური ანგარიშგება, ACCA, თარგმ. ინგლ-დან, თბ., ბაფ, 2014
5. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ. ფინანსური ანგარიშგება. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
6. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი 2018;
7. ხარაბაძე ე., ფინანსური აღრიცხვა 2018;
8. ჯიქია მ. ფინანსური ანალიზი , გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2016 წელი;
9. კომპანია „მპს კახური ტრადიციული მეღვინეობა“\_ს ფინანსური ანგარიშგება 2017 და 2018 წლის 31 დეკემბერი  
<https://reportal.ge/Forms.aspx?payerCode=200075113&SystemID=0&show=1&np=1&cid=I&prd>
10. კომპანია „სარაჯიშვილი“\_ს ფინანსური ანგარიშგება 2017 და 2018 წლის 31 დეკემბერი  
<https://reportal.ge/Forms.aspx?payerCode=209444065&SystemID=0&show=1&np=1&cid=%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%9E&prd=>
11. J. Mylopoulos, L. Chung and E. Yu, "From Object-Oriented to Goal-Oriented Requirements Analysis", *Comm. ACM*, vol. 42, no. 1, pp. 31-37, Jan. 1999.
12. Howard A. Frank. Public financial management. CRC Press 2006
13. <https://www.statisticssolutions.com/correlation-pearson-kendall-spearman/>



## დანართი

შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა  
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
<b>აქტივები</b>				
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>				
ძირითადი საშუალებები	10	56,031,506	44,314,541	29,617,440
ბიოლოგიური აქტივები	11	2,798,503	2,278,789	2,096,166
არამატერიალური აქტივები		240,296	160,238	118,313
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	12	29,578,287	16,436,708	8,706,129
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>88,648,592</b>	<b>63,190,276</b>	<b>40,538,048</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>				
მარაგები	13	53,350,361	39,797,709	31,274,025
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	20,527,689	21,179,009	13,933,167
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები		234,780	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	3,921,844	1,410,951	3,387,967
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>78,034,674</b>	<b>62,387,669</b>	<b>48,595,159</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>166,683,266</b>	<b>125,577,945</b>	<b>89,133,207</b>
<b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>				
<b>საკუთარი კაპიტალი</b>				
კაპიტალი		408,374	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		103,610,491	82,896,333	62,337,313
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>104,018,865</b>	<b>82,898,333</b>	<b>62,339,313</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>				
სესხები	16	30,737,246	328,342	9,654,896
გადავადებული შემოსავალი	17	1,134,426	769,069	1,331,606
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>31,871,672</b>	<b>1,097,411</b>	<b>10,986,502</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>				
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	8,096,498	3,977,001	8,794,853
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები	19	1,113,824	-	-
სესხები	16	21,582,407	37,605,200	7,012,539
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>30,792,729</b>	<b>41,582,201</b>	<b>15,807,392</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>166,683,266</b>	<b>125,577,945</b>	<b>89,133,207</b>

შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა

ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	4	83,052,424	66,812,488
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(45,323,294)	(33,817,617)
<b>საერთო მოგება</b>		<b>37,729,130</b>	<b>32,994,871</b>
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	6	(4,621,636)	(3,782,235)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(5,066,330)	(4,373,036)
წმინდა სხვა შემოსავალი	8	2,268,398	2,400,220
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>30,309,562</b>	<b>27,239,820</b>
წმინდა ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	19	(969,684)	-
ფინანსური ხარჯი		(3,861,760)	(1,960,565)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		(1,010,467)	(299,733)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>24,467,651</b>	<b>24,979,522</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(350,332)	(539,617)
<b>წმინდა მოგება</b>		<b>24,117,319</b>	<b>24,439,905</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>სრული შემოსავალი</b>		<b>24,117,319</b>	<b>24,439,905</b>

სს სარაჯიშვილი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2017 გადაანგარიშებული*
<b>აქტივები</b>				
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>				
ბირითადი საშუალებები	6	22,989,230	26,517,508	26,895,684
საინვესტიციო ქონება	7	6,663,500	6,731,052	6,798,604
ბიოლოგიური აქტივები		238,275	238,275	238,275
არამატერიალური აქტივები		8,711	46,640	54,076
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში		18,500	3,000	3,000
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>29,918,216</b>	<b>33,536,475</b>	<b>33,989,639</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>				
მარაგები	8	29,946,364	24,962,882	24,090,756
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	17,384,653	11,867,930	12,286,882
გაცემული სესხები		105,916	106,990	102,113
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	861,327	357,917	68,315
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>48,298,260</b>	<b>37,295,719</b>	<b>36,548,066</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>78,216,476</b>	<b>70,832,194</b>	<b>70,537,705</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>				
<b>კაპიტალი</b>				
სააქციო კაპიტალი	11	10,354,000	10,354,000	10,354,000
გაუნაწილებელი მოგება		44,153,078	43,455,593	38,673,571
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>54,507,078</b>	<b>53,809,593</b>	<b>49,027,571</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები	12	13,421,231	6,224,036	10,151,512
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>13,421,231</b>	<b>6,224,036</b>	<b>10,151,512</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები	12	5,060,335	9,312,201	6,481,863
საგადასახადო ვალდებულება		384,266	184,053	185,267
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,843,566	1,302,311	4,691,492
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>10,288,167</b>	<b>10,798,565</b>	<b>11,358,622</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>78,216,476</b>	<b>70,832,194</b>	<b>70,537,705</b>

სს სარაჯიშვილი

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017 გადაანგარიშებული*
ამონაგები	14	29,638,678	23,773,936
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(14,027,726)	(10,917,743)
<b>საერთო მოგება</b>		<b>15,610,952</b>	<b>12,856,193</b>
სხვა შემოსავალი	16	1,637,584	2,586,126
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(3,997,419)	(3,007,750)
გაყიდვის დანახარჯები	18	(1,856,610)	(1,473,506)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	19	(1,710,909)	(1,489,466)
ვენახის მოვლის ხარჯები		(354,654)	(603,049)
სხვა ხარჯები	20	(596,916)	(1,108,757)
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>8,732,028</b>	<b>7,759,791</b>
წმინდა ფინანსური ხარჯი		(779,909)	(926,280)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		186,655	(253,392)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>8,138,774</b>	<b>6,580,119</b>
მოგების გადასახადის ხარჯი		(121,595)	(111,387)
<b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>8,017,179</b>	<b>6,468,732</b>